F-75/გ №13857

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ.
№ 4. მე-2 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

ინგლისში: მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ცნობას.

ამერიკა: კომუნისტ ფოსტერის პროცესი.

გერმანიის ამბები: მემარჯვენეები კლარა ცეტკინზე თავდასხმას ამზადებენ; გერმანია ეთანხმება იუზის [illegible].

მუნხენში: მონარქისტული შეთქმულობა, მთავრობის მარჯვნით გადახრა. სამუშაო ხელფასისთვის ბრძოლა.

რუმინეთში: ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა.

რურის ოკუპაცია: სოციალისტების კონფერენცია განხილვა რურის საკითხის შესახებ.

№ 73 კვირა, 1 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 73

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი) რუსთაველის პრ. № 24.

ტელ. 5—43.

1 აპრილიდან გაზეთ „კომუნისტზე" წესდება შემდეგი ფასი:

საერთო ხელის მოწერა თვიურად	—450,000 მან.
ხელის მოწერა მუშებისათვის „	—200 000 „
ერთი ეგზემპლიარი	— 20,000 „

მუშებს შეღავათი ეძლევათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს მოაწერენ ადგილკომის (ქარხნის კომიტეტის) საშუალებით, მუშების შემოწმებულ სიების დართვით. 5—5

რესპუბლიკის პროკურორისაგან.

ამით ეცნობება ყველა მოქალაქეს და ხელისუფლების ყველა ორგანოს, რომ საპროკურორო ზედამხედველობა ქ. ტფილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში უკვე მოეწყო და თავის ფუნქციას ახორციელებს აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორისა და მასთან მყოფ თანაშემწეთა სახით.

პროკურატურას, მისი დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1922 წლ. ნოემბრის 11, დაკისრებული აქვს: სახელმწიფო [illegible]ელით ზედამხედველობა გაუწიოს ხელისუფლების ყველა ორგანოს მოქმედების კანონიერებას, აგრეთვე კანონიერებას სამეურნეო დაწესებულებისა, [illegible]ოებრივი და კერძო ორგანიზაციისა და კერძო პირის მოქმედებისა, [illegible] დამნაშავეთა სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემით და კანონის [illegible] დადგენილებაზე პროტესტის შეტანით.

აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის კანცელარია და კამერები [illegible] პროკურორის თანაშემწეთა ტფილისსა და მის მაზრაში (ალბულაღისა და წალკის გამოკლებით) მოთავსებულია იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში (სასამართლოს ქ., № 32).

ქალაქი გაყოფილია 4 საპროკურორო რაიონად:

1 რაიონში შედის: 1, 2 და 10 სამილიციო რაიონი და 1 უბნის სახალხო გამომძიებელი;

2 რაიონში შედის: 3 და 4 სამილიციო რაიონი და 2 უბნის სახალხო გამომძიებელი;

3 რაიონში შედის: 5, 6, 7 და 8 სამილიციო რაიონი და 3 და 4 უბნის სახალხო გამომძიებელი;

4 რაიონში შედის: 9, 10, 11 და 12 სამილიციო რაიონი და 5 და 6 უბნის სახალხო გამომძიებელი.

აღმოსავლეთ საქართველოს სამაზრო ქალაქებსა და დაბების პროკურორის თანაშემწეთა კამერები იმყოფება:

1) ტფილისის მაზრაში—ალბულაღსა და წალკაში.
2) გორის მაზრაში ქ. გორში.
3) ბორჯომის რაიონში—დ. ბორჯომში,
4) თელავის მაზრაში—ქ. თელავში,
5) [illegible]
6) დუშეთის მაზრაში—ქ. დუშეთში,
7) თიანეთის მაზრაში—ქ. დუშეთში,
8) შულავერის მაზრაში—ქ. შულავერში,
9) ახალციხის მაზრაში—ქ. ახალციხეში,
10) ახალქალაქის მაზრაში—ქ. ახალქალაქში.

ყველა საჩივარი საქმეთა გამომძიებლის უკანონო მოქმედებაზე შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორთან, ხოლო საჩივარი საუბნო სახალხო გამომძიებლის უკანონო მოქმედებაზე—აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორთან. საჩივარი მაზრის თუ ქალაქის [illegible]ისუფლების ორგანოს უკანონო მოქმედებაზე აგრეთვე შეტანილ უნდა იქნეს აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორთან ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორთან—საქმის მნიშვნელობისდა მიხედვით.

აცნობებს რა ამას, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურატურა მოუწოდებს ყველა მშრომელს, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციას კანონიერების დარღვევაზე ცნობების მოწოდებით ხელი შეუწყონ მას რევოლიუციონური კანონიერების საქმეში. ამასთანავე ყველას უნდა ახსოვდეს, რომ არა მარტო ყოველი პროკურორი, არამედ ყოველი მოსამართლე და გამომძიებელი ვალდებულია მიიღოს განცხადება იმ დანაშაულზე, რომელიც განმცხადებლის ცნობით ნამდვილათ ჩადენილია [illegible] იქნება და სათანადოდ წარმართოს ეს განცხადება.

[illegible]თველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორი ი. ვარძიელი.
[illegible]სავლეთ საქართველოს პროკურორი კ. [illegible]

მუშური პრესის მოვალეობა

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ის საფრთხე, რომელსაც წარმოადგენს მუშათა კლასისათვის, ახალ ეკონომიური პოლიტიკის წყალობით, თითქო მკვდრეთით აღდგენილი ბურჟუაზიული იდეოლოგია. ის ილტვის სულიერად, იდეურად დაიპყროს მშრომელი მასსა, შთაუნერგოს მას ბურჟუაზიული სულისკვეთება, მოს[illegible] თავისი მომ[illegible] [illegible]გრძნობებით, შეხედულებ[illegible] [illegible]ებებით.

[illegible] ბურჟუაზია სხვა და [illegible] [illegible]ებებს [illegible]; სცემს [illegible] გაზეთებს, რომლებიც [illegible] ფორმებში გადმოცემულ[illegible] [illegible]უაზიული მსოფლიო შემე[illegible] ცხოვრების შეგრძნობა.

[illegible] [illegible]რიცხებული კლა[illegible] სოციალურ-პოლიტიკური მრწამ[illegible] და მისწრაფება—ესაა აღდგენა [illegible], ბურჟუაზიულ ფეოდალურ ურთიერთობის, მოსპობა საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის. მაგრამ ის თავის ლეგალურ გამოცემებში აშკარად და გარკვევით ვერ ბედავს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას.

[illegible] შესაძლებლობას ჰპოულობს კლასობრივ შინაარსიდან პირველ შეხედვით თითქო ძალიან დაშორებულ აზრების და გრძნობების გამოყენებით.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ბურჟუაზიის სულიერ [illegible] რომლებიც მას დღის სამზეოზე გამოაქვს. რელიგიური გატაცება და მისტიციზმი, ერთი მხრივ, ქვენა; [illegible] გრძნობების გაღვივება მეორე მხრივ,—აი, სხვათა შორის ერთი დამახასიათებელი თვისება რეაქციონურ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის. და რომ გადახედოთ მის მიერ რუსეთში გამოცემულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, დარწმუნდებით, რომ ამ ორ მომენტს მათში ფართე ადგილი აქვს დათმობილი.

პროლეტარული იდეოლოგია, რა თქმა უნდა ებრძვის ერთსაც და მეორესაც.

ნამდვილი მეცნიერული ცოდნის გავრცელება ხალხში, ამასთან მისი გრძნობების და ზნე ჩვეულების გაფაქიზება ამაღლება, შეადგენს ჩვენი ერთ ერთ ამოცანათაგანს.

კერძოდ პარტიულ საბჭოთა პრესა უნდა იყოს ბასრი იარაღი ბურჟუაზიის არა მარტო პოლიტიკურ სოციალურ მსოფლმხედველობის, არამედ მისი „მეცნიერულ", მორალურ და ესტეტიურ შემეცნების აღმოსაფხვრელად.

ამ მიზანს ჩვენი პრესა კიდეც ასრულებს.

მხოლოდ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ აქა-იქ და იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ზოგიერთ ორგანოებში ისეთ მოვლენებს, რომლის წინააღმდეგ ის მთელი თავისი არსებით უნდა იბრძოდეს. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსეთის ზოგი პროვინციულ გამოცემების შესახებ. აქ შეიძლება წააწყდეთ ბურჟუასიის „გემოვნებების" და დაბალ სულისკვეთების საჯაროდ გადმოღებას.

ამის ერთი მთავარი მიზეზია ის გარემოება, რომ მუშათა გაზეთებში „სპეცების" სახით შემოპარულნი არიან პროლეტარიატისათვის იდეოლოგიურად და სულიერად უცხო „კალმოსნები", რომელთაც აქ გადმოაქვთ თავიანთი ლიტერატურული ტრადიციები.

რუსეთში ამ გარემოებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და მიღებულია საჭირო ზომები, რათა მუშათა პრესა იყოს გამომხატველი მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარულ იდეოლოგიის და სულის კვეთების.

ჩვენშიც, ამიერ-კავკასიის და საქართველოს პრესაში, „ლიტერატურული სპეცები" ნებით თუ უნებლიედ ილტვიან დაამყარონ ბურჟუაზიული პრესის ზნე ჩვეულებანი. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი რკინისგზელთა გაზეთ „გუდოკ"-ში, რომლის შესახებ დღეს იბეჭდება ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს დადგენილება.

„გუდოკ"-ის ერთ-ერ ნომერში მოთავსებული იყო დაბალი შინაარსის ნაწარმოები, რომელსაც ვერ უნდა გაეჭაჭანოს ჩვენი გაზეთების ფურცლებზე.

ასეთი მოვლენა მუშათა პრესაში, რა თქმა უნდა, დაუშვებელია; და ხსენებულმა ბიურომ კიდეც სასტიკად დაგმო ის.

ეს მაგალითი ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვაგონებს მუშურ პრესის დანიშნულებას. მას მაღლა უნდა ეჭიროს პროლეტარული იდეოლოგიის დროშა, და სასტიკად უნდა შეებრძოლოს ბურჟუაზიის გამრყვნელ ტრადიციების გადმონერგვას თავის ფურცლებზე.

სომხური ფაშიზმის დაცემის მეორე წლის თავი

სწორედ ორი წლის წინეთ, 1921 წ. აპრილის 2-ს, სომხეთის საზღვრებიდან სამუდამოთ განიდევნა სომხეთის ფაშისტები—დაშნაკცუტიუნის პარტია.

დაახლოებით თვენახევარმა ომის შემდეგ სომხეთის მუშებმა და გლეხებმა სამუდამოთ დაამხვრიეს „ერის განთავისუფლებელ" ყალბ მაუზერისტების უღელი და შემდეგ მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობას დაშნაკცუტიუნის პარტიის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, გამოგვიაშკარავებია მისი შავ ბნელი პოლიტიკა, შოვინიზმი და სომხის ერისათვის დამღუპველი ნაბიჯები მისი „მოღვაწეობის".

ის დაკავშირებული იყო მენშევიზმთან.

მენშევიზმი რომელიც ერთ დროს ბატონობდა საქართველოში, უკვე ისტორიას ჩაბარდა.

დაშნაკცუტიუნი მეტადრე ბოლო წლებში წარმოადგენდა იმედ დაკარგულ [illegible] ხროვას, რომელნიც საფრთხის დროს მიმართავდა ყოველგვარ სიმხეცეს, ოღონდ დაეცვა თვისი არსებობა.

მაუზერიზმი, რომელიც დაშნაკცუტიუნის განვითარების უკანასკნელი ეტაპი იყო, სრულ ფაშიზმს წარმოადგენდა ყოველ მხრივ.

ყველაზე გარკვეულ სურათს გვაძლევს საერთო ფაშიზმის შესახებ ამხ. კლარა ცეტკინი მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციების ფრანკფურტის კონფერენციაზე.

ის ეხება გერმანულ ფაშიზმის განვითარებას და მისი [illegible] [illegible].

ფაშიზმის ძირითადი წყარო კაპიტალიზმის ნგრევის პროცესია და მისი უნიჭობა შექმნას მასების ცხოვრებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები.

კაპიტალიზმის ნგრევა [illegible] წვრილ ბურჟუაზიას და ზრდის პროლეტარების მასიურ უმუშევრობას. სახელმწიფო ჩინოვნიკების მდგომარეობის ცუდ პირობებში ჩაყენება, ფინანსიური ქაოსი და სხვ.

იმ პოლიტიკას რომელსაც ატარებდა დაშნაკცუტიუნი სამი წლის განმავლობაში და მის მახინჯ წაბაძვას მენშევიკურ საქართველოს „დემოკრატიული" პოლიტიკისას არ შეეძლო არ გამოეწვია ყაჩაღური სულის კვეთება საზოგადოების სათანადო წრეების.

ერთა შორის სიძულვილი და კლასთა შემარიგებელი პოლიტიკა—ასეთი იყო ამ პარტიის მუშაობა. პარტია თათრებისა და ქართველების წინააღმდეგ, მაუზერიზმის წამოწევა, შემდეგ განუწყვეტელი ცარცვა-გლეჯა და მკვლელობა—ასეთ პირობებში უნდა აღზრდილიყო სომხური ფაშიზმი დაშნაკცუტიუნის სახით. მაუზერიზმს ბოლოს და ბოლოს უნდა მტრულათ შეხვედროდნენ ის მხარეები, რომელნიც მაუზერისტების ტალღებს არ გაჰყოლოდნენ და არც მის გავლენის ქვეშ ყოფილან ოდესმე. მიუხედავად ამისა სომხური ფაშიზმი დაშნაკცუტიუნი თავს თვლიდა სომხის მშრომელთა მოსარჩლეთ იმ დროსაც კი, როცა მოხდა ერევნის ავანტიურა ვრაციანის მეთაურობით.

მაგრამ მას ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა. თვე ნახევრის შემდეგ დამარცხდა ეს ავანტიურა და დღეს ჩვენ გვსურს მოვიგონოთ ის ამხანაგები, რომელნიც მსხვერპლათ შეეწირენ სომხურ ფაშიზმს გმირულ ომში; და რომლებმაც მოგვიპოვეს მშვიდობიანი ცხოვრების პირობები.

სომხეთის მუშებმა და გლეხებმა [illegible] რომ ამ [illegible] ბედნიერ ცხოვრების დამამსებელნი, ორი წლის წინათ მსხვერპლათ შეწირულნი ის ამხანაგები არიან, რომელთაც მოაწყეს თავიანთი სისხლით სომხეთის მთა-ბარი.

აი ვინ უნდა მოვიგონოთ და ვისი ხსოვნა უნდა გვამარადისოთ ჩვენ.

ხ. ხანოიანი.

ამხ. შავარშ ჰოვკიანი

1921 წ. თებერვლის სამოქალაქო ომში გმირულად დაეცა ჯალათ დაშნაკელების ხელით ამხ. შავარშ ჰოვკიანი. ამხ. შავარში დაიბადა ლორის მაზრაში 1885 წ. დაწყებითი სწავლა მიიღო ბათუმის ორკლასიან სომხურ სასწავლებელში, შემდეგ გიმნაზიაში და ბოლოს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი (საექიმო ფაკულტეტი).

უკვე სტუდენტობის დროს ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა რუს. სოც. დემოკრატიულ პარტიაში. 1911 წ. როცა ათავებს საექიმო ფაკულტეტს მას ნიშნავენ ეკატერინოსლავის ერთ სოფელში საერობო ექიმათ, სადაც ის განუწყვეტლივ განაგრძობდა პარტიულ მუშაობას.

1914 წ. როცა იფეთქა საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა, ის როგორც სამხედრო ექიმი გაიწვიეს ჯარში დასავლეთი ფრონტზე. 1917 წ. რევოლიუციის პირველ დღეებში მან დიდი მონაწილეობა მიიღო ფრონტზე „დამხობილების" საქმეში. რის გამო კერენსკის აგენტებისაგან იქმნა დევნილი.

1917 წ. ივლისის რიცხვებში ამხ. შავარში გადადის ბოლშევიკების პარტიაში და ხდება მისი ერთგული მუშაკი.

1917 წ. ქ. ეკატერინოსლავში დენიკინის შემოტევის დროს რჩება და ყოველ წამს სიკვდილის მოლოდინში განაგრძობს ჩუმ პარტიულ მუშაობას იქიდან როგორც იქნა გამოიქცა და მის მაგივრად დახვრიტეს მისი ცოლი, როგორც ბოლშევიკ ქმრის დამფარავი.

დიდი გაჭირვების შემდეგ ამხ. შავარში მოდის თფილისს თავის მშობლებთან. ცოტა ხნის შემდეგ შედის სამსახურში ბორჩალოს მაზრაში ერობის ექიმათ. იქ ის განაგრძობს პარტიულ მუშაობას. შედეგი იყო ის, რომ მენშევიკებმა დააპატიმრეს ის მაგრამ ლორთქიფანიძის განკარგულებით ის გადასახლებულ იქნა სომხეთში.

სომხეთში გადასახლებული ამხ. შავარში იღებს ცხოველ მონაწილეობას პარტიულ მუშაობაში. მაგრამ დაშნაკელების ავანტიურისტულმა აჯანყებამ ამხ. შავარშს მოუსწრაფა სიცოცხლე. იგი ხდება ჯალათ დაშნაკელების მსხვერპლათ.

ხ. თ.

მენშევიკების განცხადება

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ჩვენს სრულიად გულწრფელ განცხადებას:

ჩვენ ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, ყოფილი წევრები მენშევიკური პარტიისა სრულიად შეგნებულად მთელი ხალხისა და მუშების გასაგონად ვაცხადებთ შემდეგს:

ჩვენ მენშევიკურ პარტიაში მუშაობის პროცესში მივედით იმ შეგნებამდე, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია კიდევ 1905 წელს ჩაეშვა ისეთ წუმპეში, რომლიდგან ხსნა არ იყო. ამ პარტიას იმ ხანშივე დაეჩემდა მერყეობა: იმ დღიდანვე იწყება მის მიერ მუშისა და გლეხის ინტერესების გაყიდვა და თუ დღემდე მიათრევდა თავის საცოდავ პარტიულ არსებობას, ეს უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ეს ვაჟბატონები სოციალისტებისა და რევოლიუციონერების ქურქში იყვნენ გახვეულნი და მით უფრო ადვილად ატყუებდნენ მუშებს და გლეხებს. მაგრამ მატყუარობას როდის ჰქონდა ბოლო, რომ ამ შემთხვევაში გაემარჯვებია მას. მუშა და გლეხი ადრე თუ გვიან მაინც იცნობს თავის მოჭირნახულეს და ღირსეულადაც დააფასებს მას და აკი დააფასა კიდეც. თავიდანვე დემაგოგიას და მატყუარობას მიჩვეულ მენშევიკებს ეგონათ, რომ ამ საერთაშორისო რევოლიუციის დროსაც ნაცად საშუალებით გავიდოდნენ ფონს. ისინი აწარმოებდნენ კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკას. თუ არა ამას, სხვანაირათ როგორ უნდა ავხსნათ ბ-ნ ევგ. გეგეჭკორის სიტყვები კონტრრევოლიუციონერ გენერალ ალექსეევთან საუბრის დროს: „ჩვენ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთ წერტილში ვსცემთო". განა ვის გულისხმობდა მაშინ ვითომდა ჩვენი წარმომადგენელი ბ-ნი ევგ. გეგეჭკორი თუ არა ბოლშევიკებს. ჰაი, ჰაი რომ ბოლშევიკებს. ან და გავიხსენოთ თვით ნოე ჟორდანიას სიტყვები დამფუძნებელ კრებაში წარმოთქმული 1919 წ. 2 თებერვ.: „მე მირჩევნია ევროპის ბურჟუაზია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს"-ო. ესა და გეგეჭკორის სიტყვები ხომ არ განსხვავდებიან??

ასეთი იყო სიტყვები. ეხლა ვნახოთ საქმენი მათი საგმირონი რას მოასწავებს „შამხორიადა" თუ არა კონტრ-რევოლიუციას, რას ნიშნავს კავკავში დამარცხებულ ბოლშევიკების ყაზბეგიდან მენშევიკების მიერ დენიკინზე გადაცემა?—თუ არა პროლეტარიატის ინტერესების დამცველის რეაქციაზედ გაყიდვას. ამით ისინი ლამობდნენ რეაქციის გამარჯვებას, მაგრამ უბედურებს ავიწყდებოდათ, რომ თუ რეაქცია გაიმარჯვებდა, ისინი (მენშევიკები) სოციალისტთა სახელს ხომ ვერ შეინარჩუნებდნენ და მერმე რითი უნდა მოეტყუებიათ გათვითცნობიერებული ხალხი. მაგრამ, როგორც ზემოთ ვსთქვით, მათ ჰქონდათ საერთო ენა ბურჟუაზიასთან და კონტრევოლიუციასთან. მაგრამ ხალხი ავიწყდებოდათ ან, უკეთ რომა ვსთქვათ, არა დროსაც არ ხსომებიათ მათ ხალხი. გავიხსენოთ ოსების გლეხობის აჯანყება. როგორ უპასუხეს მათ?—გადასწვეს, მისცეს ცეცხლსა და მახვილს. ისტორია ამას არ დაივიწყებს.

ველიკო ჯუღელი სოხუმის მხარეზე როდესაც ტუქსავდა აჯანყებულ გლეხობას, უტიფრად ამბობდა: „მე მესმის ნერონის". დიახ მას, როგორც მთელ პარტიას, ესმოდა ნერონის. დღიდან [illegible] მთავრობის ჩამოგდებისა ისინი მშვენივრად გრძნობდნენ თავს ბურჟუაზიულ მთავრობაში კერენსკისთან ერთ სავარძელში, სადაც აშკარად იყიდებოდა პროლეტარიატისა და მუშის ინტერესები.

აქ ისმება საკითხი სით უნდა მიქცეულიყვნენ მენშევიკები. თუ მართლა ისინი სოციალისტები და რევოლიუციონერები იყვნენ, ბურჟუაზიისკენ თუ პროლეტარიატისაკენ. 25 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ძალა-უფლება აიღო პროლეტარიატის მეთაურმა კომპარტიამ, მათ ვეღარ დამალეს თავიანთი თვალთმაქცობა და აშკარათ გამოვიდნენ პროლეტარიატის წინააღმდეგ. რუსეთში სამარცხვინოთ დამარცხებულნი, გამორბიან საქართველოში და აქ ლამობენ მოტყუებით ხალხზე ბატონობას. მაგრამ აქაც შესცდენ ანგარიშში: ხალხი მათზედ გონიერი გამოდგა—და ღირსეულადაც დააფასა ისინი. ხალხმა აშკარათ დაინახა, რომ მათი დაპირება მხოლოდ დაპირებათ რჩებოდა და მუშისა და გლეხის საკეთილდღეოთ არც არა გაკეთებულა რა. მენშევიკურმა პარტიამ მთელი თავისი ძალა და ღონე მოანდომა ჭეშმარიტ სოციალისტების წინააღმდეგ ბრძოლას ამით აიხსნება ისა, რომ საქართველო გახადეს ევროპის რეაქციის ჯარების საჯეკნათ. აქედგან, საქართველოდან საფრთხეს უმზადებდნენ რევოლიუციონურ რუსეთს (ინგლისის საფრანგეთ-იტალიის და გერმანიის ჯარები).

ასე იბოგინეს სამი წელი. აივსო ფიალა მოთმინებისა და გლეხებმა და მუშებმა კიდევაც ღირსეული მიუზღო მათ—გაქცევამდე კიდევ მოასწრეს დაენახვებინათ ხალხისათვის რეაქციონერობის ერთი წაუშლელი ნიმუში: ხალხის ნაამაგარი უსირცხვილოდ გაიტაცეს და დღეს ფლანგავენ ევროპის კაფე-შანტანებში. ევროპაშივე ისინი ფეხს ულოკავენ პუანკარეს და ლოიდ-ჯორჯს და მათი საშუალებით ლამობენ რევოლიუციონურ ქვეყნის დამხობას.

ამის შემდეგ ჩვენ საზიზღრათ მიგვაჩნია ამ პარტიაში ყოფნა, ვსტოვებთ მის რიგებს სრულიად შეგნებულად და მოუწოდებთ ყველა მუშებსა და გლეხებს, ვისაც კიდევ შერჩენია რევოლიუციონერობა, დასტოვოს ეს ბანდიტთა პარტია და ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლებას მის აღმშენებლობითი მუშაობაში და იხელმძღვანელონ ჩვენი ძველი, ეხლა გონს მოსული ამხ. ბიკტორ თევზაიას მაგალითით, რომელმაც პირახდილად აღიარა თავისი შეცდომები და ამოუდგა ხალხის მომამაგეთ გვერდში.

მაშ გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს! ძირს ყვითელი ინტერნაციონალი! ძირს ბურჟუაზია და მისი დამქაშები.

1. შავდათუაშვილი გიორგი	პარტ. წევრი	1918 წ.	მუშა.
2. ადაგოვი ალექსი	„	1898 წ.	მუშა.
3. ხარაძე გიორგი	„	1919 წ.	მუშა.
4. მადოიანცი სარქის ივანეს ძე	„	1906 წ.	მუშა.
5. გოგინაშვილი ალექსანდრეს ძე	„	1905 წ.	მუშა.
6. ხეჟერთელაძე პავლე	„	1905 წ.	მუშა.
7. თავართქილაძე ვარდენ	„	1917 წ.	მუშა.
8. თაყაიშვილი ნოსე ერდიშვილის ძე	„	1905 წ.	მუშა.
9 კალანდაძე ილია გიგილის ძე	„	1903 წ.	მუშა.
10. მუხაშავრია ლავრენტი	„	1917 წ.	
11. ომანაძე ივანე სიმონის ძე	„	1903 წ.	მუშა.
12. კეპახმაძე ერმილე მარკოზის ძე	„	1916 წ.	
13. კალანდარიშვილი გრიგოლ მირონის ძე	„	1917 წ.	
14. მურვანიშვილი ივანე	„	1903 წ.	მუშა.
15 როველიაშვილი ნათელა ივანეს ძე	„	1917 წ.	
16. ჭუმბურიძე თეიმურაზ სერგოს ძე	„	1912 წ.	ინტელიგ.
17. ცანავა პარმენ ანდრიას ძე	„	1917 წ.	გლეხ.
18. აბაშიძე ტიტე იოსების ძე	„	1920 წ.	ინტელ.
19. ხოსტაიშვილი ანტონ	„	1919 წ.	მუშა.
20. ესვანჯია ვასილი	„	1919 წ.	რკ.-გზ. მუშა.
21. თამარა მიქელაძე			ინტელ.
22 ფანცულაია ექვთიმე ისიდორეს ძე	„	1917 წ.	მუშა.
23. ღლონტი ლავრენტი	„	1917 წ.	მუშა.
24. წილოსანი კირილე	„	1910 წ.	მუშა.
25. თოდაძე ალფესი	„	1904 წ.	მუშა.
26. ხულიხაშვილი იოსებ			მუშა.
27. ტოგონიძე მამონტი	„	1918 წ.	ინტელ.
28. ხარაიძე ბენია ნ.	„	1917 წ.	ინტელ.
29. ზაბილოძე პეტრე გიორგის ძე	„	1917 წ.	ინტელ.
30. ურუშაძე გერმანე მიხეილის ძე	„	1918 წ.	ინტელ.
31. მოტახერია გრიგოლ სპირიდონის ძე	„	1918 წ.	ინტელ.
32. ომიაძე ასლან გრიგოლის ძე	„	1917 წ.	მეხაზ.
33. გუჯაბიძე დანიელ კონსტანტინეს ძე	„	1917 წ.	მასწავლებ.
34. ლობჟანიძე კლიმენტი	„	1919 წ.	კონტ. მოხელე
35. ლევაშერია არტემი გიორგის ძე	„	1905 წ.	მასწავლებ.
36. ჭელიძე პავლე	„	1919 წ.	მუშა.
37. მახარაძე ფილიპე ბიტუს ძე	„	1917 წ.	მუშა.
38. გაჩეჩილაძე კონსტანტინე მაკარის ძე	„	1919 წ.	ინტელ.
39. აროშიძე გიორგი გაბრიელის ძე	„	1901 წ.	ინტ. მუშა.
40. ჭანტურიშვილი დავითი გიგილას ძე	„	1919 წ.	მუშა.
41. ფირცხალაიშვილი მოსე ალექსანდრეს ძე	„	1918 წ.	მუშა.
42. ქერეშვილი ნესტორ	„	1901 წ.	მუშა.
43. კალანდარაშვილი იასონ დიმიტრის ძე	„	1917 წ.	ინტელ.
44. ჯაკობია ბაგრატი კოსტას ძე	„	1918 წ.	ფერშალი.
45. უოთაძე შალვა იოსების ძე	„	1919 წ.	რკ.-გზ მუშა.
46. გოგუაძე ვლასა ისეს ძე	„	1917 წ.	ინტელ.
47. ილიაძე ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე	„	1917 წ.	მუშა.
48. ქეონია ალექსი ნესტორის ძე	„	[illegible]	[illegible]
49. ჯობაძე დიმიტრი ზაქარიას ძე	„	1919 წ.	ინტელ.
50. ხიხარულიძე ეპიფანე დიმიტრის ძე	„	1917 წ.	მუშა.
51. ურუშაძე სიმონ მიხეილის ძე	„	1909 წ.	მუშა.
52. კვაჭაძე არკადი სევასტის ძე	„	1918 წ.	ახ. მარქ. ინტ.
53. ჩუტკერაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე	„	1904 წ.	ინტელ.
54. ხარებავა ვალერიანე მიხეილის ძე	„	1907 წ.	მუშა.
55. ყანჩელი ელიზბარ ქაიხოსროს ძე	„	1917 წ.	ინტელ.
56. ჯიბუტი კოწია ესის ძე	„	1917 წ.	ინტელ.
57. რუხიძე ლეონ ივანეს ძე	„	1918 წ.	ინტელ.
58. ონიანი ინდიკო ბეჟუას ძე	„	1917 წ.	მუშა.
59. ხახოკილიდიანი გიორგის ძე	„	1919 წ.	მუშა.
60. ტყილიდიანი რაჟდენ ივანეს ძე	„	1918 წ.	მუშა.
61. ლიპარტიანი როსტომ ალექსის ძე, რადგან მან წერა არ იცის, მისი თხოვნით მის მაგიერ ხელს ვაწერ: (ნიკო ნადიბაიძე)	„	1918 წ.	მუშა.
62. მანჯგალაძე აკაკი ანტონის ძე	„	1917 წ.	თანამ. მასწ.
63. გელაშვილი ისაკი ლაზარეს ძე	„	1917 წ.	მუშა.
64. გიორგაძე ივანე ფილიპეს ძე	„	1916 წ.	მუშა.
65. გუჯაბიძე სამუელ სიმონის ძე	„	1918 წ.	მუშა.
66. ცინცაძე შალვა ბესარიონის ძე	„	1916 წ.	ინტელ.
67. ჩხაიძე ერმალო	„	1917 წ.	ინტელ.
68. ჩხარტიშვილი გრამიტონ ოთარის ძე	„	1917 წ.	მუშა.
69. ხუპაპურიძე იუსტინე ანდრიას ძე	„	1918 წ.	თანამშ. მუშ.
70. კრავიშვილი ჭიჭიკო ბართლომეს ძე	„	1919 წ.	მუშა.
71. კალანდარიშვილი დავით	„	1917 წ.	ინტელ.
72. ხარიშვილი გიორგი სტეფანეს ძე	„	1918 წ.	ინტელ.
73. ახობაძე პარმენ სოფრომის ძე	„	1917 წ.	მუშა.
74. მანჯგალაძე ვალერიანე	„	1916 წ.	მუშა.
75. ჯორჯენაძე გერმანე თომას ძე	„	1903 წ.	მუშა.
76. გერხამია გ. დავითის ძე	„	1910 წ.	მუშა.
77. აზარიაშვილი იაკოფ გაბრიელის ძე	„	1917 წ.	მუშა.
78. მურმანოვი დავით ივანეს ძე	„	1915 წ.	მუშა.
79. გულიხაშვილი ილია	„	1918 წ.	თანამშ. მუშ.
80. კანდელაკი კოსტ. მიხეილის ძე	„	1918 წ.	ინტელ.
81. ბუაძე ევგენი გლახუას ძე	„	1917 წ.	მუშა.
82. მეხხი მათე დავითის ძე	„	1918 წ.	ინტელ.
83. ბანცური ვასო დიმიტრის ძე	„	1919 წ.	მუშა.
84. ნიკოლაიშვილი ერმილე დავითის ძე	„	1918 წ.	მუშა.

ჩვენი უმაღლესი სკოლა

მიმდინარე წლის 12 იანვრიდან დამტკიცებულია მთავრობის მიერ უმაღლესი სასწავლებლის ახალი დებულება მისი ძალით უნივერსიტეტი თანდათან თავს აღწევს თავის ძველ კარჩაკეტილობას და დგება ფართო ნიადაგზე.

უმაღლესი სასწავლებლის და მეცნიერების გაძღოლის საქმე ენდობა არა მარტო რამოდენიმე ზევიდან დანიშნულ პირს, არამედ სკოლის ბედის ხელმძღვანელათ ითვლებიან ყველა ის, ვინც მონაწილეობს მეცნიერების განვითარებისა და გავრცელების საქმეში, თვით მოწაფენიც და აგრეთვე ის მუშათა ორგანიზაციები, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ სასწავლებლებთან. ამ რიგად კოლექტიურ თანამშრომლობას სასწავლებლის აღორძინებისათვის საფუძველი ჩაყრილი აქვს მშრომელი მასის მთავრობის მხრით.

დებულების გამოცხადების შემდეგ ადგილი ჰქონდა ისეთ უნიადაგო ხმებს, ვითომდაც უნივერსიტეტებს აავსებენ უბრალო „მეკურდე მუშებით" და სასწავლებელს გააფუჭებენ. შეიძლება ეს ხმები ნაყოფი იყოს დებულების უსწორო გაგებისაც იმ ადგილას, სადაც ის სავალდებულოთ აღიარებს, რომ ყველა უნივერსიტეტთან დაარსებული უნდა იყოს მუშათა ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტზე მიღებული იქნებიან 16 წ. ასაკის ორივე სქესის მუშები, სათანადოთ მომზადებულნი. თვით მუშა-სტუდენტი არაფერ გასაკვირველ რამეს არ წარმოადგენს. რუსეთის უნივერსიტეტებში ასეთი ფაკულტეტები ძალიან გავრცელებულია. თვით მუშათა სტუდენტები მეცადინეობით და შრომის უნარით სრულიადაც არ ჩამოუვარდებიან გიმნაზია დამთავრებულ სტუდენტებს და რათ არის ის შეუძლებელი ჩვენშიც მეცნიერება ხელმისაწდომი უნდა გახდეს ყველასათვის ვინც კი მიისწრაფვის მისკენ. მეცნიერების მსახურნიც ამ მხრივ რაც შეიძლება ფართო გზას უნდა უხსნიდენ მათ შეგირდებს, მიუხედავათ მათი ვინაობისა და სოციალური მდგომარეობისა.

ძველი უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო სისტემაც მოითხოვს გადათვალიერებას. თუმც ჩვენი მიზანია სპეციალისტის მომზადება, რომ ის ეკონომიურათ გაპარტახებულ ქვეყანას ამოადგეს და თავისი წვლილი შეიტანოს მის აღორძინების საქმეში, [illegible] ფაკულტეტები ჩავაყენოთ განსაზღვრულ კალაპოტში. განსაზღვრულ-ვადაში სტუდენტი უნდა იღებდეს ისეთ ცოდნას, რომელიც მისთვის შეადგენს საჭიროებას საკუთარი სპეციალობის არჩევის მიხედვით. თუ მას სურს გახდეს ინჟინერი, ან უნდა შესძლოს დაძლევა სათანადო მეცნიერული საგნებისა. თუ მოსწავლეს სურს გახდეს ექიმი, მას საშუალება უნდა მიეცეს განსაზღვრულ ხნის განმავლობაში გაეცნოს საერთოდ იმ მეცნიერებას, რაც [illegible] საჭიროა მისი სპეციალობისათვის. მედიცინის საზღვრების მიხედვით, რა თქმა უნდა ის უნდა ჰქონდეს წარმოდგენა საერთო ცნობაზე საექიმო დარგში, მაგრამ გასაკვირველი იქნება ის, თუ მას მოსთხოვეთ გინეკოლოგობა, ან ვენერიულობა, თუ თვალის, ან ყელის ექიმობა, ან და ბავშვთა სნეულების ცოდნაც.

არა ნაკლები გასაკვირი იქნება ისიც, რომ თერაპევტს მოსთხოვოთ კარგი დოსტაქრობა და სხვა. მე არ ვამბობ, რომ თერაპევტს წარმოდგენაც არ უნდა ჰქონდეს მედიცინის სხვა დარგებზე. ამისათვის არის განსაზღვრული კურსები ფაკულტეტზე და სპეციალური სასწავლო საგნები, მაგრამ წარმოუდგენელია ყველაფრის ზედმიწევნით ცოდნა. და ასედაც ემართებოდა ძველ უნივერსიტეტებს. ახალი დებულების თანახმად ფაკულტეტებში ეწყობიან ე. წ. საგნების კომისიები, რომლებშიც ერთი მესამედი რიცხვით შედის თვით სტუდენტების წარმომადგენლები; პროფესორები და დოცენტები კი ორი მესამედი კომისიებში შეიმუშავებენ სასწავლო გეგმებს, გადაარჩევენ სასწავლო საგნებს, განსაზღვრავენ ფაკულტეტების ვადებს და ამ რიგად ფაკულტეტის საბჭოს და გან. კომ-ტის დამტკიცების შემდეგ გატარდება ცხოვრებაში.

საგნების კომისიებს დიდი საქმე ევალებათ. ამ კომისიებში უნდა მოხვდეს ახალი რეფორმებით უსათუოდ დაინტერესებული პირები უმეტესად პროფესორ-დოცენტების მხრით, რადგან ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ ძველი სასწავლო სისტემის განახლების საქმეში და რეფორმების განსახორციელებლათ. დაწყებული უნივერსიტეტის სათავედან—უმაღლეს სასწ. საბჭოსა და მის გამგეობისაგან, ფაკულტეტების საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმებისაგან თვით საგნების კომისიებამდე და ცალკე პასუხისმგებელ არჩეულ ადმინისტრატორ, თუ ხელმძღვანელ პირებამდე, ახალი წესდების მ ხედვით უნივერსიტეტი [illegible] თუ პირდაპირ დაკავშირებულია მუშურ-გლეხურ მასებთან და მის ორგანოებთან, [illegible] მეტი პასუხისმგებლობაც ამ უკანასკნელების წინაშე როგორც უმაღლესი სასწავლებლის საქმის დაყენების, ისე საბჭოთა მთავრობის სკოლის სისტემის ცხოვრებაში გატარების მხრივ.

მეტადრე აი ეს გარემოება არ მოეწონა ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელთ, რადგანაც აქ უმთავრესათ „შეილახა" სასწავლებლის ე. წ. „აკადემიური-ადმინისტრატიული ავტონომია!". უნივერსიტეტის პროფესურა ყოველთვის ცდილობდა, რომ სასწავლებელში არ დაეშვა მთავრობის ხელი და გავლენა. ასეთი იყო ძველი უნივერსიტეტი. რექტორს, თუ რომელიმე კათედრის პროფესორს თავისი უნივერსიტეტი, ან კათედრა წარმოედგინა რაღაც ხელშეუხებლათ და არავის ნებას არ აძლევდენ მათ საქმეში ჩარევისას.

ასეთ მდგომარეობაში მრავალი მიზეზების მიხედვით დარჩა ბევრი უნივერსიტეტი რუსეთში თვით საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცების შემდგომაც კი. და [illegible] საკვირია თუ [illegible] უმაღლესი სას[illegible] თითქმის თით[illegible] წობას" იცავს [illegible] დღეშიაც ის „უბი[illegible] მხრივ. სწორედ ამი[illegible] რემოება, რომ მ[illegible] რომ უმაღლესი სასწავლებლის ახალი წესდება დამტკიცებულია მთავრობის მიერ 12 იანვრის შემდეგ, ის დღემდე ცხოვრებაში გატარებული არ არის.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ სამწუხაროთ ჩვენს სტუდენტობას ჯერ არავითარი აზრი არ გამოუთქვამს ახალი რეფორმების შესახებ. სტუდენტობის აზრი კი ამ შემთხვევაში მეტადრე საჭიროა საქმისათვის. ჩვენ სტუდენტობას მთლიანი შეხედულება არ აქვს.

მცირე ნაწილი თუ იცავს ახალ დებულებას, უმეტესობა ან სრულიათ არ გამოთქვამს არავითარ აზრს, ან და ბრმათ იცავს ძველს.

თვით უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა შორისაც არ არის [illegible] ლი აზრი ახალი რეფორ[illegible] ხებ. ჩვენის [illegible] ყურადღე[illegible] [illegible]

რადიო-ტელეგრამები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

ბიულეტენი № 14.

მოსკოვი. 30 მარტი. ტემპერატურა 37, პულსი—120. უკანასკნელი დღეებში ტემპერატურის აწევამ ერთგვარი გავლენა მოახდინა საერთო მდგომარეობაზე და გამოიწვია ცოტაოდენი სისუსტე.

1923 წ.—30 მარტი, დღის 2 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფორსტერი, კრამერი, ბუმკე.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ექიმი: ელისტრატოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

ოკუპაციის გარშემო

გერმანიას შეუძლია წინააღმდეგობა.

მოსკოვი. 31 მარტი. „პტი პარიზიენ"-ის ბერლინელი კორესპონდენტი აღნიშნავს რურის საკითხში გერმანიის მხრივ წინააღმდეგობის შეუსუსტებლობას და ამბობს, რომ გერმანიის პასიური წინააღმდეგობა გაგრძელდება კიდევ რამოდენიმე თვეობით.

პუანკარეს განცხადება.

მოსკოვი. 31 მარტი პუანკარემ საფინანსო კომისიაში განაცხადა, რომ რურის ოკუპაციის ეკონომიური შედეგები უმნიშვნელოა და მხოლოდ ხანგრძლივი ოკუპაციით შესაძლებელი იქნება დასახული პროგრამის განხორციელება.

პუანკარემ აღნიშნა, რომ გერმანიის მსხვილმა მრეწველებმა სცადეს უშუალოდ დაეწყოთ მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობასთან, მაგრამ სახეში იქნება მიღებული მხოლოდ გერმანიის მთავრობის ოფიციალური წინადადება.

აგონებენ.

მოსკოვი 31 მარტი. გერმანიის მთავრობის მიერ ოქროს სესხის გამოცხადების გამო, სარეპარაციო კომისიამ მოაგონა გერმანიის მთავრობას, რომ თანახმად ვერსალის ხელშეკრულებისა მოკავშირეებს უპირატესობა აქვთ იმ კაპიტალზე რომელიც მოეპოვება გერმანიას. ამის გამო გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ სარეპარაციო კომისიის პროტესტი წმინდა იურიდიულია, ვინაიდან ოქროს სესხი მაინც არავითარ თავისუფალ რესურსებს არ აძლევს გერმანიას.

შემთანხმებლების რეცეპტი.

მოსკოვი. 31 მარტი. პარიზში გა[illegible]ლდა რურის შესახებ სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ მაკდონალდი და ჰენდერსონი. რურის საკითხის გადასაჭრელად გამომუშავებულია შემდეგი: 1) გერმანიის საკონტრიბუციო გადასახდების რაოდენობის საბოლოოთ გამორკვევა, 2) გერმანიის შეძლეობის გამოსარკვევად მიუდგომელი ტრიბუნალის დანიშვნა, 3) გერმანიის მიერ საფრანგეთის განადგურებული რაიონების აღდგენა, 4) მოკავშირეები და აგრეთვე ამერიკა უზრუნველყოფენ საფრანგეთის საზღვრებს, 5) მოკავშირეთა ვალების მოწესრიგება.

უარყოფენ

რომი. 31 მარტი. „მატენი" გადმოგვცემს ბელგიის პრემიერის ტეინისის განცხადებას „იდეა ნაციონალეს" წერილის გამო, რომელშიაც ქასპარის მილანში გამგზავრება განმარტებულია, ისე თითქოს ბელგიას სურს ბოლო მოუღოს რურის ოკუპაციას. ქასპარი აცხადებს: „საფრანგეთს და ბელგიას შორის სრული თანხმობაა".

საფრანგეთს არ სურს შუამავლობა.

პარიზი. 31 მარტი. სტინესის რომში და მილანში გამგზავრების გამო. პრესა აღნიშნავს, ყველა მოკავშირე სახელმწიფოებმა და თვით რომის პაპმაც იციან, რომ საფრანგეთი არ დაუშვებს არავითარ შუამავლობას მოლაპარაკება საკონტრიბუციო საკითხის შესახებ შეიძლება დაიწყოს მხოლოდ გერმანიის კაპიტულიაციის შემდეგ.

მიდიან დათმობაზე.

პარიზი 31 მარტი. გენ. დეგუტმა აცნობა საოკუპაციო რაიონების რკინის გზელებს, რომ მოკავშირეთა უმაღლეს კომისიის ბრძანების თანახმად ისინი განთავისუფლებული იქნებიან გადასახლებიდან იმ პირობით, თუ დაუყონებლივ განაახლებენ მუშაობას.

მუშათა ფულების გატაცება.

პარიზი. 31 მარტი. სადგურ რეკლინგჰაუზენში გაიტაცეს 4 ნახევარი მილიონი მარკა, რომელიც დანიშნული იყო გაფიცულ რკინის გზელთათვის.

გერმანიის ამბები

კლარა ცეტკინაზე თავდასხმას ამზადებდნენ.

მოსკოვი 31 მარტი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, ფართე საზოგადოებამ მხოლოდ ახლა გაიგო გაზეთებიდან, რომ ზევერინგის მიერ დაშლილი „ტევტონების თავისუფლების პარტია" ამზადებდა თავდასხმას კლარა ცეტკინაზე.

გერმანია თანახმაა იუზის პროექტზე.

რომი. 31 მარტი. გერმანიის ელჩმა ვაშინგტონში ჩააბარა იუზს გერმანიის მთავრობის მემორანდუმი, რომელშიც იწონებს ამერიკის პროექტს გერმანიის მდგომარეობის გამოსარკვევათ საერთაშორისო კომისიის შედგენის შესახებ.

ახალი გაზეთი.

მოსკოვი. 31 მარტი. ბერლინში ზევერინგის მიერ დახურულ გაზეთ „ფრეიჰაიტის" მაგიერ გამოვიდა გაზეთი „ნეუე ფრეიჰაიტ".

უმუშევრობა და კრიზისი.

მოსკოვი 31 მარტი. უკანასკნელ დღეებში აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი 88 000 გაიზარდა. ფეიქართა კავშირის ცნობით ამ დარგში იმ მუშების რიცხვი რომლებიც არა სრულ დროს მუშაობენ 310.000-დი აღწევს. ზოლინგენის ფოლადის წარმოებაში მუშაობენ მხოლოდ 3 დღეს კვირაში. დრეზდენში, საქსონიის წარმოების კრიზისის გამო, გაიმართა უმუშევართა დემონსტრაციები.

„ტანი" ფონ როზენბერგის განცხადების შესახებ.

მოსკოვი 31 მარტი. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად „ტანი" იხილავს რა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფონ როზენბერგის განცხადებას რეიხსტაგის კომისიაში, სწერს: „საფრანგეთის პრესას არა ერთხელ განუცხადებია, რომ არც ერთი წინადადება გერმანიისა არ იქნება მიღებული მხედველობაში იმ დრომდე, სანამ რურის ოლქში და რეინის მარჯვენა ნაპირზე უარყოფილი არ იქნება პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკა.

კომუნისტ-კოპენის დაპატიმრება.

მოსკოვი. 31 მარტი. ჰამბურგში პოლიციამ დააპატიმრა მაგისტრატის წევრი კომუნისტი კოპენი. იმისათვის, რომ ვითომ ის ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდა მემარჯვენე ლიბერალებს ქუჩაში.

გერმანიის სესხი.

მოსკოვი. 31 მარტი. ბერლინის ბირჟის წრეებში ფიქრობენ, რომ სესხზე ხელმოწერის შედეგი ვერ იქნება მაინცა და მაინც ხელსაყრელი. სარწმუნო ცნობების თანახმად ჯერჯერობით დაფარულია სესხის 60—70 პროც. მრეწველები თავს იკავებენ სესხზე ხელის მოწერისაგან. მარკის სტაბილიზაციას, რომელიც გაგრძელდა უკვე 2 თვე, ქონდა ნაწილობრივი წარმატება. ფასების საერთო დაცემა, რომელსაც ელოდა მთავრობა, არ მომხდარა. ხალხი ფასების შემდეგი დაცემის მოლოდინში, თავს იკავებს საქონლის ყიდვისაგან. მთელი რიგი საფეიქრო და ფეხსაცმლის წარმოებებისა ყიდის საწყობებში შენახულ საქონლის ძველ მარაგს დიდის ფასდაკლებით, რათა დაფარონ წარმოების ხარჯები თითქმის მრეწველობის ყველა დარგში ხდება შეკვეთების პროგრესიული შემცირება, მრავალი უცხოეთის შეკვეთები სრულიად გაუქმებულია წარმოების შემცირების შედეგათ იზრდება უმუშევართა რიცხვი. რადგან შეუძლებელია უარის თქმა მუშების მოთხოვნილებებზე შრომის ხელფასის მომატების შესახებ და ძლიერ საჭიროა ექსპორტის გადიდება, ისევ[illegible] მრეწველთა და მთავრობის შორის სწარმოებს მოლაპარაკება ნახშირზე ფასის დაკლების შესახებ, ამასთან მთავრობა თავის მხრით ამცირებს გადასახადს ნახშირზე 40-დან 30 პროც.-დე.

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი. 31 მარტი მარტის განმავლობაში მომხდარმა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების არჩევნებმა გერმანიაში დაამტკიცა კომუნისტური პარტიის გავლენის გაძლიერება. მაგალითად, ბორზიგის ქარხანაში კომუნისტებმა მიიღეს 12 ადგილი, 10 მაგიერ.

ახლო აღმოსავლეთი

მოკავშირეთა პასუხის პროექტის გადაცემა.

მპარმა გა- სამ- ითა

წინადადებების ყოველმხრივ განხილვის შემდეგ მოკავშირეებს შორის ყველა პუნქტების შესახებ მიღწეულია სრული შეთანხმება. ყველა მოსაზრებები მოწონებულია და შედგენილი ისმეტ-ფაშას 8 მარტის ნოტაზე მოკავშირეების საპასუხო ტექსტი, რომელიც დასამტკიცებლათ გაეგზავნება დაინტერესებულ სახელმწიფოებს.

ხელმო.

ვენიდან იტ- რის მთავრო- ს განხსნას თავი- ან ბუდაპეშტში. ს სავერო იქნება და ჩეხო-სლოვა-

საფრანგეთში

მემარჯვენე პრესის მოთხოვნილება.

მოსკოვი 31 მარტი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა მოითხოვს, რათა მთავრობამ იცნოს დაპატიმრებული გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი გელეინი, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, იმ საფუძვლით, რომ გერმანიის მთავრობამ ამდაგვარათ მოიქცა დაპატიმრებულ ფრანგ ჟურნალისტს ლაბურელს, რომელსაც ბრალი დასდვეს ჯაშუშობაში.

პარიზის კომუნალურ მუშათა დემონსტრაცია.

პარიზი. 31 მარტი. პარიზის მუნიციპალიტეტის მიერ კომუნალური მუშათა შრომის ხელფასის მომატების შესახებ მოთხოვნილების უარყოფის გამო, რამოდენიმე ათასმა კომუნალურ მუშამ მოედანზე „ოტელ დე ვილ" მოაწყო დემონსტრაცია, რომელზედაც მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. დემონსტრანტები გარეკილ იქმნენ პარიზის პოლიციის მიერ. არის დაჭრილები.

უშედეგო ცდა.

მოსკოვი. 31 მარტი. საფრანგეთის კომპარტიის პარიზის ყრილობის მიერ გამორიცხულმა მემარჯვენე ფრთის ლიდერმა ვერფეილმა და აგრეთვე პარტიიდან გასულმა ფროსარმა დაარსეს თავიანთი პარტიები, პირველმა „ფედერატიულ სოციალისტური კავშირის" და მეორემ „უნიტარული კომპარტიის" სახელწოდებით მაგრამ მათ ვერ შესძლეს მასების თავის მხარეზე გადაყვანა, საფრანგეთის მუშები დარჩენ კომინტერნის საფრანგეთის სექციასთან და უარი სთქვეს განდგომილებისადმი მიმხრობაზე. ამ ჟამად ორივე ჯგუფს შორის სწარმოებს მოლაპარაკება მათი გაერთიანების შესახებ.

ინგლისში

ლოკაუტი

მოსკოვი. 31 მარტი. ინგლისის საამშენებლო მრეწველობის დამქირავებლებმა დაადგინეს შეამცირონ ხელფასი და გაადიდონ სამუშაო დღე 7—14 აპრილამდე დაიწყება საამშენებლო მუშების განზრახული ლოკაუტი.

მუშათა მოძრაობა

მოსკოვი. 31 მარტი. ინგლისში მწარმოებლებსა და მუშებს შორის დაწყებულ მოსალოდნელ კონფლიქტში მონაწილეობას იღებენ საამშენებლო დარგიდან ერთნახევარი მილიონი კაცი, ერთი მილიონი მადნის მუშა, 60,000 თიხის წარმოების მუშები და 20,000 სოფლის მეურნეობის მუშა.

მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ცნობას

მოსკოვი. 31 მარტი. ლონდონში, თემთა პალატის სხდომაზე ლიბერალმა კენვორტიმ და ცრეველიანმა ხელახლა დასვეს რუსეთის საკითხი და მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთის ცნობას. კენვორტი აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია მოხდეს საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვება და ინგლისის იზოლიაცია.

საბჭოთა მთავრობის ცნობა, კენვორტის სიტყვით, მით უმეტეს აუცილებელია, რომ რუსეთის ეკონომიური ცხოვრება აღორძინების გზაზეა და ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდაო.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი მაკ-ნეილი თავის პასუხში უარყოფდა იმ მოსაზრებას, რომ ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება რუსეთთან გამოწვეულია მართვა-გამგეობის საბჭოთა ფორმის წინააღმდეგ განწყობილებით და აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით რუსეთის მთავრობა მისდევს თავის დღევანდელ პოლიტიკას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ ინგლისის მიერ დე-ფაქტოთ არის ცნობილი.

ამერიკა

ფოსტერის პროცესი.

მოსკოვი. 31 მარტი. ნიუ იორკიდან 28 მარტს მიღებულ ცნობით გრძელდება მოწმე რუგენბერგის დაკითხვა პროცესი ხდება მარქსიზმის ნამდვილ შკოლათ არა მარტო მოსამართლეებისათვის, არამედ მრავალრიცხოვან ხალხისათვისაც, რომელიც გასამართლებას ესწრება.

ფოსტერის სიტყვა.

მოსკოვი 31 მარტი. [illegible] 29 მარტს ფოსტერის პროცესის დროს სიტყვა წარმოსთქვა თვით ფოსტერმა, რომელმაც განაცხადა, რომ ის არ არის არც ერთი პარტიის წევრი, რადგან „პროპაგანდის პროფკავშირთა ლიგა" არც ერთ პარტიას არ ემხრობა. კომუნისტები, რომელნიც მხარს უჭერს ლიგას, შეადგენენ მხოლოდ მთელი შემადგენლობის 10 პროცენტს. სიდინჯემ და სიმტკიცემ რომლითაც იყო გაჟღენთილი ფოსტერის სიტყვა, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ამერიკელები დაინტერესებული არიან რუსეთით.

მოსკოვი. 31 მარტი. სტოკჰოლმში ჩამოსულმა ცნობილმა ამერიკელმა ფინანსისტმა მეიმ, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა, რომ ამერიკელთა ფინანსიური წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა რუსეთისადმი ამერიკელ ფინანსისტების ნაწილი მზად არის საბჭოთა ხელშეკრულების დადების დროს მისცეს რუსეთს სესხი. ამერიკის ზოგიერთი სენატორები და პოლიტიკური მოღვაწეები აპირებენ რუსეთში გამგზავრებას მდგომარეობის გასაცნობათ. მეი ფიქრობს, რომ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა მტკიცდება და რუსეთის ცნობა სახელმწიფოების მთელი რიგის მიერ ახლომომავლის საკითხია.

იტალია

რა სურთ ფაშისტებს.

მოსკოვი. 31 მარტი ფაშისტების ახალმა ორგანომ „იმპერო"-მ, რომელიც რომში გამოდის, წამოაყენა შემდეგი პროგრამა: ახალი არისტოკრატიის შექმნა, ყველა საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულებების კერძო პირებისათვის გადაცემა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება და სიკვდილით დასჯის შემოღება. ერთა თვითგამორკვევა და ნაციონალური უმცირესობათა უფლებებზე ლაპარაკი უაზრო ოცნებათ არის აღიარებული.

ვინ აძლევდა ფაშისტებს ფინანსიურ დახმარებას.

მოსკოვი. 31 მარტი. სამხედრო ხარჯების გამომრკვევმა კომისიამ გამოაქვეყნა დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ ყოფილ სამხედრო კოოპერატივთა კავშირმა, რომლის თავმჯდომარე ბაცელი, რედაქტორად არის ფაშისტურ გაზ. „ნუოვოლ ლოენესი", ჰყიდდა სამხედრო მასალებს და არაფერს არ უბრუნებდა სახელმწიფოს. პასუხად ამ ბრალდებისა ბაცელი მოაგონებს ფაშისტურ მთავრობას, რომ ფაშისტებმა გაიმარჯვეს იმიტომ, რომ ხსენებული კავშირი ფინანსიურ დახმარებას უწევდა მათ.

პოლონეთის ამბები

მუშათა მოძრაობა პოლონეთში.

მოსკოვი 31 მარტი. ლოძში, პოზნანში და გრუძიანში გაიმართა მიტინგები, კომუნისტ-დეპუტატის კრულიკოვსკის მონაწილეობით, რომელიც პირველად გამოვიდა კრებებზე ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მუშები ყველგან ხვდებოდნენ კრულიკოვსკის ოვაციებით, ის შენობები, სადაც მიტინგები იმართებოდა, გაჭედილი იყო ხალხით. გრუძიანში პოლიციამ დააპატიმრა მუშათა კრება, სადაც კრულიკოვსკი იმყოფებოდა, მაგრამ უკანასკნელის მეორეჯერ დაპატიმრება ვერ გაბედა. ლვოვში გალიციის პოლონეთზე შემოერთების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციის დროს, ერთ ერთ სახლის აივანზე გამოჩნდა უკრაინის ნაციონალური მოძრაობის უხუცესი მოღვაწე რამანჩუკი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა. მრავალ-რიცხოვანმა ხალხმა დასდო ფიცი იბრძოლოს პოლონელების და ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

„ვილნოსათვის".

მოსკოვი. 31 მარტი. კოვნოში გლეხ დემოკრატების პარტიამ, ნაროდნიკების სოფლის კავშირმა, ებრაელთა ნაციონალურმა საბჭომ და სხვა ორგანიზაციებმა გამოუშვეს მოწოდება: „ვილნოსათვის", რომელშიაც ნათქვამია, რომ პოლონეთის მადა უსაზღვროა, ვილენშჩინის დაკავება ემუქრება ლიტვის დამოუკიდებლობას და წარმოადგენს ეკონომიურ უღელს უკანასკნელისათვის.

რუმინეთი

ბრძოლა ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ

მოსკოვი. 31 მარტი. მიუხედავად მთავრობის ტერორისა, რუმინეთის ოპოზიციონური ბლოკი განაგრძობს ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ პარლამენტის გარეშე. ბუქარესტში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც ოპოზიციის ორატორები ილაშქრებენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის ორგანო აცხადებს, რომ ეხლანდელი ბრძოლა წარმოადგენს არა მუშათა კლასის, არამედ წვრილ-ბურჟუაზიის ბრძოლას, მაგრამ ამ ბრძოლაში მუშათა კლასი ღებულობს მონაწილეობას იმიტომ რომ მთავრობა იარაღის საშუალებით აქრობს ყოველგვარ მუშურ მოძრაობას. რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მანიფესტში აცხადებს, რომ პროლეტარიატი ეხლანდელ ოპოზიციას უნდა უყურებდეს ყურადღებით, ვინაიდან პარლამენტის დღევანდელი ფსევდო-რევოლიუციონერები ხვალ ისევე შეავიწროვებენ პროლეტარიატს, როგორც ეხლანდელი მთავრობა ავიწროებს მას. რუმინეთის მუშებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ოპოზიციის მიერ მიმართულ მიტინგებზე იმდენად, რამდენადაც ეს მიტინგები საშუალებას აძლევენ პროლეტარიატს გამოსთქვას პროტესტი მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ რომელიც აწესებს რუმინი[illegible] რეჟიმს.

უნგრეთში

მონარქისტული შეთქმულება უნგრეთში.

რომი. 31 მარტი. ბუდაპეშტის ცნობით მემარჯვენე პარტია ამზადებს სახელმწიფოებრივ გადატრიალებას მონარქისტულ წესწყობილების დაწესების სასარგებლოთ. შემოღებულია საალყო წესები.

ბიუროკრატ-ბელადების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 31 მარტი. უნგრეთის მლითონეთა პროფკავშირი შეთანხმდა მრეწველებთან კონფლიქტის შესახებ, მაგრამ მუშებმა უარი განაცხადეს ამ შეთანხმებაზე. პროფკავშირის პოზიციას მხარი დაუჭირეს მუშების 40 პროცენტმა, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას, დანარჩენი 60 პროცენტი-კი არ გამოცხადდა მსხვილი ქარხნები უმოქმედოთ დგანან.

ესეც „რეფორმებია".

მოსკოვი. 31 მარტი. ავსტრიის მთავრობა თანდათანობით მარჯვნით იხრება. სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების საბაბით მან გაატარა სახელმწიფო მოსამსახურეების შტატების შემცირება. შეამცირა ჯამაგირების რაოდენობა, მოუსპო დახმარება უმუშევრებს, ცდილობს მოსპოს რეიხსვერი, გადასცეს სახელმწიფო ქარხნები კერძო პირებს და იჯარით გასცეს სახელმწიფო რკინის გზები. მარჯვნით გადახრა ხდება აგრეთვე საგარეო პოლიტიკაშიაც.

ბრძოლა სამუშაო ხელფასის მომატებისათვის.

მოსკოვი. 31 მარტი. უნგრეთის კრონებზე კურსის დაცემის გამო ბუდაპეშტში სიძვირე იზრდება. მრეწველობის მრავალ დარგებში ფართოვდება მუშათა მოძრაობა სამუშაო ხელფასის მომატების მიზნით.

კომუნალური მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასს 40 პროცენტით მომატებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან გაფიცვით.

სხვადასხვა ამბები

ესპანეთი.

ფაშისტები ემზადებიან.

მოსკოვი. 31 მარტი. მადრიდიდან პარიზს აცნობებენ, რომ ფაშისტები ესპანეთში ემზადებიან სახელმწიფო გადატრიალებისათვის. გადატრიალებას ელიან, როგორც კი ახალი ფაშისტური პროფკავშირის გენერალური მდივანი დაბრუნდება იტალიიდან, სადაც ის მოლაპარაკებას აწარმოებდა იტალიელ ფაშისტებთან.

ჩეხო-სლოვაკეთი.

განხეთქილება.

მოსკოვი 31 მარტი. პრაგაში ჩრდილო ჩეხიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კონფერენციამ გამოიტანა პარტიიდან გარიცხულ მემარცხენე ბელადებისადმი თანაგრძნობის რეზოლიუცია და დაადგინა შეუერთდეს ჩეხო-სლოვაკეთის დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიას, რომელიც გარიცხულმა მემარცხენე ლიდერებმა მოაწყო.

არ შეუძლიათ შეთანხმდნენ.

მოსკოვი. 31 მარტი. პრაგიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რომ მოლაპარაკება იავორინოში ჩეხიის სანაპირო ტერიტორიის შესახებ, უშედეგოთ დამთავრდა. ბენეშის გამგზავრება ვარშავაში უვადოთ გადაიდო.

ბალკანეთი

იმპერიალისტურ ომების და ხელშეკრულების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 31 მარტი. 18 მარტს სოფიაში ბალკანეთის ყველა სახელმწიფოთა კომუნისტურ პარტიების მონაწილეობით შესდგა საპროტესტო მიტინგი რურის ოლქის ოკუპაციის, ახალ იმპერიალისტურ ომების და საზავო ხელშეკრულების, რეაქციის და ფაშიზმის წინააღმდეგ და ხალხთა შერიგების, ბურჟუაზიის განიარაღების, მუშათა კლასის შეიარაღების სასარგებლოთ. მიტინგები მოეწყო აგრეთვე ბოლგარიის სხვა ქალაქებშიც. ამ დღეს შესდგა აგრეთვე მშრომელ ქალის საერთაშორისო დღის, პარიზის კომუნის ხსოვნის და მარქსის გარდაცვალების 52 წლის თავის დღესასწაული. რუმინიაში, სახელმწიფოებრივ ტერორის გამო, მიტინგები ვერ შესდგა. აგრეთვე გადაიდო მიტინგები სამხრეთ სლავიაში.

ფინეთი.

არ უშველის.

მოსკოვი. 31 მარტი. ფინეთის მწარმოებელთა კავშირმა აუკრძალა თავის წევრებს მოლაპარაკება და ხელშეკრულების დადება იმ პროფ. ორგანიზაციებთან, რომელთაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები.

ჟენევა.

ერთა ლიგის სესია.

პარიზი. 30 მარტი. 16 აპრილს ჟენევაში ედვარდ ვუდას თავმჯდომარეობით გაიხსნება ერთა ლიგის სესია.

წითელი რესპუბლიკები

რუსეთი

ლიტველ ამხანაგების ჩამოსვლა.

მოსკოვი. 31 მარტი. მოსკოვში ჩამოვიდნენ კოვნოს საკატორღო ციხეში მყოფი ლიტოველ ამხანაგების პირველი პარტია 4 მუშა და ერთი მუშა-ქალი.

შრომის დაცვა.

მოსკოვი. 31 მარტი. დაქირავებული შრომის ნიადაგზე აღძრულ კონფლიქტების გადასაწყვეტათ შრომის სახ. კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან არსდება შემარიგებელი კამერები და სამედიატორო სასამართლოები. კამერებში შედიან ორივე მხარეს წარმომადგენელთა თანასწორი რიცხვი. თუ შემარიგებელ კამერაში შეთანხმება არ მოხდა, საქმე გადაეცემა სამედიატორო სასამართლოს.

შრომის სასახლეების შესანახათ.

მოსკოვი 31 მარტი. სახალხო კომისართა საბჭომ სრულ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს გაუხსნა 2 მილიონი მანეთის კრედიტი (23 წლისათვის) შრომის სასახლეების შესანახავათ.

საჰაერო ფლოტის მოსაწყობათ.

მოსკოვი. 31 მარტი. სერპუხოვის მაზრაში დაიწყო შემოწირულებათა შეკრება ჰაეროპლან „სერპუხოვის" მოსაწყობათ.

მოსკოვი. 31 მარტი. ხარკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა ააშენოს ერთი ჰაეროპლანი ხარკოვის პროფკავშირთა საშუალებით.

მოსკოვი. 31 მარტი. „პროლეტარულმა ქარხანამ" დაადგინა თავისი საშუალებით ააშენოს ორი ჰაეროპლანი.

მიიღო დამსახურების მიხედვით.

მოსკოვი 31 მარტი. ფაბრიკა „წითელი ფეიქრის" მუშათა კლუბში სახალხო მოსამართლემ განიხილა საქმე ფაბრიკის დირექტორისა, რომელსაც ბრალი ედებოდა ფაბრიკის დარაჯის ფიზიკურათ შეურაცყოფაში. დირექტორს ექვსი თვის დაპატიმრება მიუსაჯეს.

ამერიკა სოფლის მეურნეობის გამოფენაზე.

მოსკოვი 31 მარტი. გამოფენის მთავარ კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ ამერიკის მუშათა ორგანიზაციებმა გამოსთქვეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ სასოფლო მეურნეობის გამოფენაზე.

ცეპლიაკის შესახებ გამოტანილ განაჩენის გამო.

მოსკოვი 31 მარტი. უმაღლეს სასამართლოს მიერ ცეპლიაკის, ბუტკევიჩის და პოლონეთის ბლიახტის სხვა აგენტების მიმართ გამოტანილმა განაჩენმა ააღელვა დასავლეთ ევროპის მთელი ბურჟუაზია. ბურჟუაზიას აყვენ—ინგლისის შემთანხმებელ მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა მთავრობას მოუწოდებენ დიდსულოვნებისაკენ [illegible]ჩინოს სამღვდელოების წრიდან [illegible] ჯაშუშების მიმართ და ამავ[illegible] ეწყებენ ინგლისური ხელისუფლების მიერ ინდოეთში გამოტანილ 172 სიკვდილის განაჩენს, სამხრეთ-აფრიკაში სიკვდილით დასჯის და ირლანდიაში რევოლიუციონერების დახვრეტის მაგალითებს. ჩიჩერინის სახელზე მოვიდა მრავალი დეპეშები სხვა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებიდან და „კათოლიკების კეთილდღეობის ნაციონალურ საბჭოსაგან" თხოვნით იპატიონ მათ სასჯელი. რეაქციონურ ესპანეთში ლაპარაკობენ ესპანეთის მთავრობის ჩარევის აუცილებლობის შესახებ. განაჩენმა დიდი კამათი გამოიწვია ინგლისის პალატაში და პოლონეთის სეიმში. სიკორსკიმ განაცხადა, რომ ამის შესახებ პოლონეთის მთავრობამ მიმართა ვატიკანს და დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებს.

გაზეთები „პრავდა" და „იზვესტია" ამ გ[illegible] ახასიათებენ, როგორც რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობა ამის უფლებას არავის მისცემს.

დანიის დელეგაციის ჩამოსვლის გამო

მოსკოვი. 31 მარტი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. კრასინმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა, რომ დანიას რუსეთისათვის მნიშვნელობა აქვს მისი სოფლის მეურნეობის უდიდესათ განვითარების გამო. ჩვენ ბევრი რამე შეგვიძლია ვისწავლოთ დანიისაგან. დანიის ზოგიერთი ფირმები წარმატებით მოქმედებენ რუსეთში ერბოს დამზადების და აგრეთვე სხვა და სხვა ხორცეულის შეგროვების და ექსპორტის საქმეში. დანიის მრეწველობას ჩვენთვის მეორე-ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ვერ არის საკმაოთ განვითარებული და ვერ გაუწევს კონკურენციას გერმანიის და ინგლისის მრეწველობას.

აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლება.

მოსკოვი. 31 მარტი. დამთავრებულმა თათბირმა საბჭოთა აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობის შესახებ გამოიმუშავა აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლების შემდეგი ზომები. ხაზგასმით აღნიშნულია წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის, ქალებისათვის საწარმოო შრომის შესწავლის, სახელოსნოების, არტელების, პროფესიონალ-ტეხნიკურ სკოლებისა და კლუბების ორგანიზაციების საჭიროება. ფედერატიულ რესპუბლიკების ჯამსახკომის მოხსენებაში ნათქვამია, რომ აღმოსავლეთში თითქმის სრულიად არ წარმოებს დედობისა და ბავშვობის დაცვა. აღნიშნულია საჭიროება ადგილებზე სამშობიარო სახლებისა და აგრეთვე დედისა და ბავშვის თავშესაფარის დაარსებისა.

ხე-ტყის გატანა.

მოსკოვი. 31 მარტი. პეტროგრადის სატყეო სამმართველომ ხელშეკრულება დასდო ვერდენის გემების საზოგადოებასთან ევროპის სხვა და სხვა პორტებში ხე-ტყის გადაზიდვის შესახებ.

ცირკულიარულად.

აგრარულ რეფორმის გამტარებელ ორგანოებს

აგრარული რეფორმის დაკვრითი წესით გატარების დროს მშრომელი გლეხობის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველსაყოფად საადგილ-მამულო ორგანოებს და ყველა ამ საქმისათვის მივლინებულ პირთ ევალებათ სასტიკათ დაიცვან შემდეგი დებულებანი:

1. ვისაც კანონიერ ნორმაზე მეტი მიწა არა აქვს, მისი მიწის სარგებლობა რჩება ძველ ფარგლებში.

2. ვისაც ნორმაზე მეტი მიწა აქვს, მას მიწების ჩამორთმევის დროს რჩება უფლება მთლიანი ნაკვეთების არჩევისა.

3. მიწების დანაწილების დროს უნდა თავიდან აცილებულ იქნას შეძლების დაგვარათ მიწების დაქუცმაცება (чересполосица) და დაცული ნორმის მთლიანობა.

4. საერთო ხელახალი გადაყოფა მიწებისა ცნობილი (черный передел) ყოვლად დაუშვებელია.

5. ჩამორთმეულ და მცირე მიწის მქონე გლეხებზე გადაცემული კულტურულად დამუშავებული ბაღები და ვენახები არ უნდა იქნან დანაწილებული ცალ-ცალკე ნაკვეთებათ ახალ მოსარგებლეთა შორის, არამედ უნდა დარჩენ მთლიან ნაკვეთებათ საერთო ძალღონით დასამუშავებლათ. ასეთი ნაკვეთების გაჩეხა განადგურებისათვის სამოსახლოებათ ან საყანეებათ გადასაქცევათ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული როგორც სამაზრო ისე თემისა და სოფლის საადგილ-მამულო ორგანოები.

6. 1922 წლის 26 მაისის დებულების დამატების პირველი მუხლის განსამარტებლათ მიღებულ იქნას შემდეგი:

„სამოსახლო არა უმეტეს 1200 კვ. საჟენისა დაუტოვება იმ მოქალაქეს, რომელსაც სხვა უძრავი ქონება არსად აქვს და უკეთუ სოფლის საზოგადოება მას სთვლის თავის სასურველ წევრად".

7. სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილებათა კოლლეგიებს და თემისა და სოფლის საადგილ-მამულო კომიტეტებს ევალებათ დაუყონებლივ მისცენ მსურველთ თავიანთი დადგენილებების ასლები ან ამონაწერები.

8. სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილებები სასტიკათ ადევნებენ თვალყურს, რომ სამაზრო კოლლეგიის დადგენილებებზე შეტანილი საჩივრები კანონიერ ვადაში იქნენ გამოგზავნილი მიწადმოქმედების კომისარიატში ყველა საჭირო საბუთების თანდართვით.

მიწადმოქმედების კომისარი **ვ. ხტურუა.**

28 მარტი 1923 წ.

ქ. თბილისი.

10 აპრილამდი საქართველოს ბონები უნდა გადაცვლილ იქნან ამ.-კავ. ფულის ნიშნებზე.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო.

მეურნეობის აღორძინების მიზნით, ამიერ-კავკასიაში ფულის ნიშნები გაერთიანდა და გამოიცა ახალი ნიშნები. ფულის ახალმ შნებმა უნდა შესცვალონ საქართველოში, სომხეთში და აზე ჯანში არსებული ნიშნები. ფულის ნიშნების გადაცვლის უკანასკ ვადათ გამოცხადებული იყო მიმდინარე წლის 10 მარტი, შემდეგ ვადა გაგრძელებულ იქნა 10 აპრილამდის. ამ ვადამდის საქართველოს ბონები უნდა შეიცვალოს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ამ ვადის შემდეგ, ე. ი. **10 აპრილიდან საქართველოს ბონები, ფულის მნიშვნელობას კარგავენ და ხმარებაში აღარ იქნებიან, არც სახელმწიფო დაწესებულებანი და აღარც კერძო ვაჭრები ამ ფულებს, 10 აპრილის შემდეგ, აღარ მიიღებენ.** ამიტომ თქვენ უნდა ეცადოთ საქართველოს ბონები აღნიშნულ ვადამდის გადასცვალოთ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე. ვაჭრებმა და სპეკულიანტებმა ეს დიდი ხანია გააკეთეს და საქართველოს ფულები უკვე გადასცვალეს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე, რიგი თქვენზეა და **თუ არ მიიღებთ სასწრაფო ზომებს, დაგეკარგებათ ქონების ნაწილი.**

ფულების გადაცვლის გასაადვილებლად ყველა ხაზინაში და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში გადაგზავნილია გადასაცვლელად საკმაო თანხა. **ყველა ხაზინა და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა ვალდებულია გადაგიცვალოთ ძველი ფული ახალზე დაუყონებლივ.** ვისაც შეუძლიან დაუყოვნებლივ მიმართეთ ამ დაწესებულებებს ფულების გადასაცვლელად, ვისაც არ შეეძლება ეს, შეაგროვეთ სოფლად გადასაცვლელი ფული, მიანდეთ თქვენ მიერ ამორჩეულ რწმუნებულს და დაავალეთ მას გადაცვლა. იგი მახლობელ ხაზინაში გადასცვლის, შემდეგ დაუბრუნებს თვითეულს თავის ხვედრ ფულს.

არ უცადოთ უკანასკნელ ვადას, რადგან თუ ამ დროისათვის გადასდებთ ფულის გადაცვლას, ხალხი ბევრი მოაწყდება ხაზინებს, ყველას დაკმაყოფილებას იგი ვერ შესძლებს და ზოგ დარჩება ხელზე ისეთი ფული, რომელიც მეორე დღეს ფულ მნიშვნელობას დაკარგავს.

ამხანაგებო, ხელისუფლების წარმომადგენლნო და კომუნი ტურ პარტიის წევრნო, მუშების და გლეხების დაცვა თქვენი ერთა ერთი მოვალეობაა. თქვენ თქვენი ტერიტორიის ფარგლებში უნდა დაუშვათ, რომ რომელიმე მუშა ან გლეხი დაუმსახურებლ დაისაჯოს რითიმე.

მიიღეთ ზომები, აცნობეთ ყველას, გააგებინეთ მუშას ფულის გადაცვლის საჭიროება, ნუ დაუშვებთ, რომ **გლეხს ან მუშას ხელზე დარჩეს ისეთი ფული, რომელ რილის შემდეგ დაკარგავს მნიშვნელობას.** გაავრცელეთ ბანი, კრებებზე სოფლებში და დაბებში გამოუცხადეთ ხალხს შედეგი მოყვება ფულის გადაუცვლელობას 10 აპრილის შემდეგ, ხე ლი შეუწყეთ რწმუნებულთა არჩევნებს ფულის გადასაცვლელად, თვალყური ადევნეთ მათ სამართლიან მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხაზინებში და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

ა. | კ. ფედ. ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული
საქართველოში **ბ. ბიჭინეიშვილი.**

ამიერ კავკასიი ფედერაცი

აზერბეიჯანი.

შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტეტი. აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომის შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ცენტრალურ კომიტეტმა ამა წლის 1 იანვრიდან 25 მარტამდე სამაზრო კომიტეტებს გაუგზავნა სუბსიდიები ახბონებით: აგდაშს—13 მილიარდი, განჯის—1,12 მილიარდი, ჯევანშირის—62,65 მილიარდი 2.000 ფუთ ხორბლის შესაძენათ, ჯებრაილის—600 მილ., ლენკორანის—14 მილიარდი, ზამხორის—10 მილიარდი და შუშის—75 მილიარდი.

ჰაეროპლანი „ბაქოს მუშა". აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს, აზერბეიჯანის კოოპერაციას და ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვთ შეიძინონ ჰაეროპლანი, რომელსაც სახელათ დაერქმევა „ბაქოს მუშა".

აღდგომა—სამუშაო დღეა. სახალხო განათლების ბაქოს განყოფილების მიერ დაწყებული კამპანია სააღდგომო უქმეების სამუშაო დღეებათ გარდაქცევის შესახებ თან და თან ფართოვდება. სურახანის, ბალახანის, საბუნჩინის და ფაბრიკა-ქარხნების რაიონების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორ—მასწავლებელთა კრებამ ერთხმათ დაადგინა განაგრძოს მეცადინეობა ჩვეულებრივი წესით, ამ იმუშავებენ თვით აღდგომ მარქსის სახელობის მე-11 თა შკოლამ, ებრაელთა პი ყობითი შკოლამ № 90, ტეხნიკუმმა, საბავშო სახლებმა, 3 კომუნებმა გადასწყვიტეს იმუშ აღდგომის განმავლობაში ქალაქ ბავშვთა სასარგებლოთ.

დრამატიული ტეხნიკუმი. სახალხო განათლების ბაქოს განყოფილების დრამატიული ტეხნიკუმი ხსნის განყოფილებას ფაბრიკა-ქარხნებ რაიონში.

სომხეთი.

ერევანი 30 მარტი.

წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. თანახმად პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველო უკანასკნელ კრილობაზე [illegible] დირექტივებისა პოლ. განათლების მთავარმა სამმართველომ გამოიმუშ ვა მოზრდილთა შორის წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მეცადინეობის პროგრამა მომავალ ზა ხულისათვის ქალაქებში ლიკვიდაც მოხდება საერთო საფუძვლებზე; სოფლებში მეცადინეობა იქნება კვირაო ბით. მაზრებში და აგრეთვე ეზიდ შკოლებში დაარიგეს სხვა და სხ საწერი საჭირო ნივთები.

„ბრაზი“ და „ძრომა“!?

(ძღვნად ან—რიას).

შარშან ამ დროს, როგორც მახსოვს
გძლევენ ცოტა „ხიზალალა“,
ახლა ვხედავ, რომ იმ „აზრმა“,
და იმ „შრომამ“ იზარალა...

თურმე დანით უკანიდან
ეპარები შენ ჩემს აჩრდილს
და მის ზურგში ვერაგულად
მის ჩასაცემს ეძებ ადგილს.

არ ვიცოდი, თუ „მურვანყრუს“,
ვინც ყოყოჩობს „სწორი ხაზით“,
მე ვნახავდი აზავთებულს
და ავსებულს გულში ბრაზით.

აღარ გახსოვს იგი „ხავსი“,
რომ გჭიროდა „წყალ წაღებულს“?!.
დღეს ძველი ნუ გავიწყდება
გულზვიადს და გალაღებულს!..

ძველი გზა და მეგობარი,
დაცდილი და საიმედო,
რომ ანგარიშ მიუცემლად
გასწირო და გაიმეტო.

ვაჰ, თუ ბოლოს სინანულმა
აგიტეხოს ცრემლთა ფრქვევა!..
ფარატინაც კი დაგვწყავს გულს,
თუ ავ ზრახვით დიხევა!..

ნ. ზომლეთელი.

თესვის კომპანიის წინ. მიწათ-მოქმედების კომისარიატმა გადასცა ეჩმიაძინის, დილიჟანის, კარაკლისის და დარალეგეზის მაზრებს საკმაო რაოდენობით გუთნები სანიავებელი, ხორბლეულის გამწმენდი მანქანები, ფოცხები და სათესი მანქანები.

პროფკავშირების გაწმენდა ალექსანდროპოლის, ლორის და ახალ-ბაიაზეთის მაზრებში დამთავრდა პროფკავშირების წევრთა გაწმენდა. დანარჩენ მაზრებში განზრახულია გაწმენდის დამთავრება 1 აპრილისთვის.

პარტიული ცხოვრება

ტფილისში ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის ჩატარების

საერთო გეგმა.

კვირას 1 აპრილს—რაიპროპკოლექტივებში მოხსენებები: „რელიგია და მეცნიერება“.

ორშაბათს 2 აპრილს—ახალგაზრდობის კომკავშირის უჯრედებში—ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის შესახებ.

სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს (დღით)—იგივე უპარტიო მუშებში, არმიაში და ქალთა განყოფილებაში. საღამოს კლუბებში ანტი-სარწმუნოებრივი საღამოები „აღდგომის შეხვედრა“.

პარასკევს—გაზაფხულის დღესასწაული.

შაბათს 4 საათზე ახ. კომ. კავ. რაიკომებში ფართო მიტინგები. პროცესია ტაძრისაკენ საღამოს 7 საათზე ტაძრიდან დაიძრება კარნავალი. კარნავალის შემდეგ ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში—ინსცენიროვკა და ტაძრის გახსნა.

ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის ჩამტარებელი კომისია.

საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ტფ. კომიტეტი

წინადადებას იძლევა საპროფკავ.-კოლექტივებს

ერთიან დღეს, კვირას 1 აპრილს,

გაკეთებულ იქნას სარაიონო საპროფ.-კოლექტივებში მოხსენება შემდეგ თემაზე:

„მეცნიერება და რელიგია“.

თეზისები დაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტის“ 29 მარტის ნომერში და ცალკე იქნება დაგზავნილი.

საქ. ახალ. კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი **გ. ადამიანი.**

საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ტფ კომიტეტი

წინადადებას იძლევა

ერთიან კავშირო დღეს, ორშაბათს 2 აპრილს,

დასმულ იქნას იაჩეიკებში საკითხები: 1. კომუნისტურ ახალგაზრდობის აღდგომის შესახებ, 2. ტფილისის კომიტეტის ცირკულიარების № № 56, 57 და 58 გარჩევა. მეორე საკითხი დასმულ უნდა იქნას იაჩეიკის დახურულ კრებაზე. თეზისები დაბეჭდილი გაზეთ „კომუნისტის“ 29 მარტის ნომერში, თავის დროზე იქნება დაგზავნილი.

საქ. ახლგ. კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი **გ. ადამიანი.**

რკინისგზელების კომუჯრედის არსებობის 25 წლის თავზე

საზეიმო კრება ნაძალადევის თეატრში

ნაძალადევის თეატრის დიდი, ნათელი დარბაზი სავსეა რკინის გზელებით—კომუნისტებით და უპარტიოებით—ზევით სავსეა ახალგაზრდა მხიარული სახეები. ქვევით კი—უფრო მოღრუბლულია. ბევრია მოხუცები, ხშირია ქალები. უბრალო ჩაცმულები, თავსახვევი თავზე. აშკარაა—მუშა ქალია ან მუშების ცოლი. ბევრია მოხუცი ქალებიც. სიწყნარეა, უცდიან თავის საყვარელი ბელადების დღესასწაულს.

აუჩქარებელი ლაპარაკია, უმთავრესად მენშევიკების პარტიიდან მასიური გამოსვლის შესახებ.

„გესმის ძმა,— ეკითხება ვიღაც ახალგაზრდა ცბიერი ტონით მოხუც რკინისგზელს ყვითელ ფარაჯაში—45 წლის წინათ ისინი, მენშევიკები, ხომ ჩვენებთან ერთად მუშაობდენ, მაშ რაო არ დღესასწაულობენ ისინი 25 წლის თავს“?

— ეე ბიჭო,—მომატყუო გინდა განა,—მხიარულის გაჯავრებით უპასუხებს ის,—ვინც რევოლიუციას და მუშათა კლასს უღალატა, განა იმას რევოლიუციისათვის ეცლება, ასეა ასე!.

მაგრამ აი იხსნება კრება. პრეზიდიუმში აირჩიეს ამიერ-კავკასიის კომუნისტური პარტიის დამაარსებლები ამხანაგები: **მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, მამ. ორახელაშვილი. ჩხეიძე, სტურუა, არაქელ ოქუაშვილი, ვ. მაკაძე. ქავთარაძე ლადო, კოჩეტკოვი, კავალევსკი, მორჩილაძე, ზაქრაძე, რთველაძე, ფირცხალავა.** პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩიეს ამხანაგები **ლენინი** და **სტალინი**, მხურვალე ტაშმა და ოვაციებმა დაჰფარა არჩევა.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.

სიტყვა ეძლევა ძველ რევოლიუციონერ ამხ. ფილიპე მახარაძეს. ამხ. ფილიპე მიესალმება იმ ორგანიზაციის პირველ დამაარსებლებს რომლებმაც ამიერ-კავკასიაში უდიდესი როლი ითამაშეს—და რევოლიუციის საქმე უდიდეს გამარჯვებამდი მიიყვანეს. ეხება რა პირველი წლების მუშაობას, ამხ. მახარაძე ამბობს, რომ ახლანდელი მენშევიკები და ბოლშევიკები მაშინ ერთად მუშაობდენ, რადგან მიდიოდენ ერთად-ერთი სწორი გზით. შემდეგ კი მენშევიკები აცდენ ამ გზას და წავიდენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზით, რამაც გამოიწვია კომუნისტების, რევოლიუციონური მარქსიზმის პარტიის, მათგან გადაჭრით გათიშვა. ამხ. მახარაძე აღნიშნავს იმ ცვლილებას, რომელიც ხდება მოტყუებულ მენშევიკ—მუშების აზროვნებაში და მიესალმება კომუნისტური პარტიის, მუშათა ინტერესების ერთად-ერთი დამცველის მთლიან მუშათა ფრონტს.

ამხ. სტურუას სიტყვა.

ცოცხალი, აღფრთოვანებული სიტყვით გამოდის ამხ. სტურუა, მისმა სიტყვამ მსმენელთა მეხსიერებაში გააცოცხლა 25 წლის წინათ მომხდარი სურათები, მოაგონა მათ რკინის გზელთა პირველი გაფიცვა, როცა პირველი გაბედული ამხანაგების ცდით წაქეზებული მუშები გულუბრყვილოდ კითხულობდენ:—„შეიძლება ჩამწეროთ თქვენ საზოგადოებაში“—ო? ამის შემდეგ პატარა ორგანიზაცია დიდათ გაიზარდა. და უკვე 1900 წლის პირველი მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 600 კაცი, რომლებმაც გაბედეს ბატონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ პროტესტით გამოსვლა. მაშინვე გახდა შესაძლებელი წარმოუდგენელი „თავისუფლების“ მიღება—მეორე რიგის შემოღება და სავალდებულო ზედმეტი მუშაობის მოსპობა (ეს იყო მაშინ, როცა ხაზეინი ნორმალურ თვეში ახერხებდა 50 სამუშაო დღის დატევას).

და რკინისგზელთა მეორე გაფიცვაც, რომელიც იმავე 1900 წელს მოხდა, ჩატარდა ორგანიზაციულად და მთლიანად. თუმცა თექვსმეტი დღის შემდეგ გაფიცვის კომიტეტი იძულებული გახდა გაფიცვა მოეხსნა, მაგრამ, როგორც მაშინ ამხ. ალიოშა ჯაფარიძემ თქვა, ეს დამარცხება კი არ იყო, არამედ გამარჯვება, რადგან თექვსმეტი დღის განმავლობაში მუშების ხელმძღვანელობა და მათ მხრივ მხარის დაჭერა, წინამორბედი იყო მომავალში უდიდესი გამარჯვების. ეხება რა მენშევიკების მასიურ ცოდვების მონანიებას, ამხ. სტურუა აცხადებს: „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს, ვიმუშაოთ ერთად!“ სიხარულის ყიჟინა ფარავს ამ სიტყვებს.

შემდეგი იყო ამხ. ვაშაკიძის სიტყვა უცებ დარბაზში მოისმა ხმაურობა. ესტრადაზე დინჯათ ადიან მუშები, მათ წინ მიუძღვის დროშა, რომელზედაც სწერია: „მუშებიდან, რომლებმაც დასტოვეს მოღალატე მენშევიკების პარტია“, მათ მიჰყვებიან უპარტიო რკინისგზელთა წარმომადგენლები, მათ დროშებზე აწერია: „რკინისგზელ მუშების ერთად ერთ მასწავლებელს და ხელმძღვანელს—კომუჯრედს“ და „მუშათა განთავისუფლებისათვის“ ერთად ერთ მებრძოლს“ და სხვა.

დარბაზს ფარავს მუშათა კლასის სრული ერთობის გრძნობით გამოწვეული დამსწრე მუშების სიხარულის ხმები.

ყოფ. მენშევიკ-მუშის სიტყვა.

გამოდის მუშა, ყოფილი მენშევიკი, აღელვებული გადასცემს რკინის გზელ კომუნისტებს დროშას და ამბობს: „მიიღეთ ეს დროშა, ნიშნათ ჩვენი სიერთგულისა“ და ათავებს ასე: „დეე გაათბოს მუშების გული მთლიანი მუშათა ფრონტის გრძნობამ“. მის სიტყვებს ტაში ფარავს.

ამხ. ლუკაშევიჩის სიტყვა.

მთავარ სახელოსნოების და დეპოს უპარტიო მუშების სახელით ამხ. ლუკაშევიჩი გადასცემს წითელ დროშას კომუნისტური პარტიის უჯრედს, „ერთად ერთს, რომელსაც შეუძლია ატაროს შრომის წითელი დროშა“ და სიტყვას იძლევა უპარტიოების სახელით კომუნისტურ პარტიასთან ერთად იარონ.

ამხ. დემენტიევის სიტყვა.

მთავარი სახელოსნოების პოლიტიკური წრის წარმომადგენელი ამხ. დემენტიევი, ესალმება კომუჯრედს, „ერთად ერთ პარტიას, რომელიც აშკარად იბრძვის პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის“.

ამხ. რუბენის სიტყვა

ამის შემდეგ ამხ. რუბენი თბილისის კომიტეტის სახელით გადასცემს კომუჯრედს დროშას და უსურვებს მას ამ დროშის ქვეშ თავი მოუყაროს რკინის გზის ყველა მუშებს. „ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, მაგრამ განვლილმა 25 წელმა უუფლებო მონა ბატონათ გადააქცია. წინ კი—სრული გამარჯვება ელის „მუშათა კლასის იდეებისათვის ბრძოლას“—ამბობს ამხ. რუბენი.

ამხ. ხენჩენკოს სიტყვა.

[illegible] შრომის სახელით ამხ. **ხენჩენკო** მიესალმება კომუჯრედს, რომელიც 25 წლის განმავლობაში წინ უძღვებოდა რკინის გზის მუშებს. „თქვენი გზა არის პროლეტარიატის გზა“—ამბობს ის.

ამხ. ეგოროვის სიტყვა.

ცალკე კავკასიის არმიის უფროსი ამხ. ეგოროვი ესალმება კომუჯრედს, რომელმაც გაიარა „ძალების დიდი დაჭიმვის და დიდი მსხვერპლის გზა“ და აღნიშნავს ყველა ანტი-კომუნისტური პარტიების ლიკვიდაციას დაწყებული ესერებიდან და გათავებული მენშევიკებით.

კომკავშირის სალამი.

შემდეგ მისალმებით გამოდის პარტიული ახალგაზრდობა—ამხანაგები **მოროზოვი და ლომიძე**, პირველი კომკავშირის პირველი რაიონის და მეორე ახალგაზრდობის კომკავშირის თბილისის კომიტეტის სახელით. ისინი ფიცს დებენ მაგრათ ჩაიჭირონ ხელში წითელი დროშა, რომელიც მიაქვთ უფროს ამხანაგებს.

ამხ. მ. ორახელაშვილის სიტყვა.

მისალმებით გამოდის ამხანაგი მამია ორახელაშვილი, რომელსაც დარბაზი შეხვდება ტაშის გრიალით.

ამხ. მამია ესალმება ჩვენი პარტიის გაჭაღარავებულ პიონერებს, რომლებმაც ოცდა ხუთი წლის წინათ, შავი რეაქციის დროს საძირკველი ჩაუყარეს რკინის გზის მუშებში პარტიის უჯრედს. ის დაწვრილებით ლაპარაკობს საქართველოში მომქმედ საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლის შესახებ, ასურათებს ბოლშევიზმისა და მენშევიზმის როლს საქართველოს მშრომელთა მოძრაობაში და ახასიათებს რღვევის პროცესს, რომელშიაც ჩათრეულია დამარცხებული მენშევიზმი. ის სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მუშური შემადგენლობა ყოფილი მენშევიკური პარტიისა უბრუნდება, ამდენი ხნის შეცდომის შემდეგ, თავის საკუთარ ოჯახს მუშათა კლასის რიგებს, სადაც ამხანაგურათ იღებს მათ კომუნისტ მუშების მასა. ხანგრძლივი ტაში ფარავს ამხ. მამიას სიტყვას.

სულიერი განწყობილება არაჩვეულებრივათ აწეულია. თვალები ცეცხლს აფრქვევენ, სახეები აღელვებულია. ყველანი გრძნობენ კომუნისტური პარტიის კოლოსალურ კავშირს მუშათა კლასთან. მაგრამ აი გამოდის პირველი რაიონის კომიტეტის მდივანი ამხ. გოლდბაუმი და კითხულობს 61 მუშის განცხადებას რომელიც კომუნისტურ პარტიაში შესვლის სურვილს აცხადებენ.

ალტაცება იზრდება. მთელი დარბაზი ქუხს საერთო სიხარულის ხმებით.

სიას იქვე ერთხმად ამტკიცებენ.

საზეიმო კრება, როგორც ყოველთვის, დამთავრდა „ინტერნაციონალით“, მაგრამ არასოდეს არ გაისმოდა ასე ტკბილათ, ასე თავისუფლათ ეს სიმღერა განთავისუფლებული მუშისა, როგორც აქ, იმ კომუჯ[illegible] რომელმაც 25 წლის წინათ პირველათ შეეცადა თავისუფლათ, მუშურათ ამოესუნთქა.

ექსპედიციის კომუჯრედში

26 მარტს შესდგა ექსპედიციის კომუჯრედის მორიგი კრება უპარტიო მუშებთან ერთად. კრებას ხსნის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. რამიშვილი, რომელიც აღნიშნავს უპარტიო მუშების და კომუნისტების დაახლოვების ფაქტს. რომელიც გამოიხატება მათი ხშირად ერთად შეკრებაში სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად და ესალმება ამ აქტს ბიუროს სახელით. შემდეგ ამხ. აცნობს კრებას დღიურ წესრიგში მოთავსებულ კითხვას სახელდობრ „მენშევიკურ პარტიის გახრწნა“. ამხ. რამიშვილის მოკლე მოხსენების შემდეგ, რომელმაც განუმარტა მუშებს მენშევიკების დაშლის ისტორიული აუცილებლობა, ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას აკეთებს ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი. მოხსენებით მუშები ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ. შესაფერი რეზოლიუციის მიღების შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის მღერით. ჩვენს კომუჯრედს საერთოდ გამოცოცხლება დაეტყო. ხშირად კეთდება მოხსენებები უმთავრესად მბეჭდავთა კლუბში სხვა და სხვა თემებზე. რომლითაც მუშები ძლიერ დაინტერესებულნი არიან, რაც სასურველად უნდა ჩაითვალოს.

ინფორმატორი: **მათიკო მიქაძე.**

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

31 მარტი.

ოქროს 10 მანეთიანი	6.400,
გირვანქა სტერლინგი	3.800,
დოლარები	820,
ლირა	650,
საბჭ. ფულის ნიშნ.	15,75

ტფილისის ბაზრის ფასები.

(ბითუმად)

ხორბალი ყუბანის ფუთი—430, ადგილობრივი—380, ლობიო—380—600, ბრინჯი აქული—3000—3 200, ფქვილი „კრუპჩატკა“—1250, ფქვილი ადგილობრივი—520—540. შაქარი რაფინადი—7.200, ფხვნილი—4.600, ყარაჩი 16 000, თუშური ყველი—4 800—5800.

ვალიუტა ბათომში.

30 მარტი.

ლირა — — —	670,
ოქროს 10 მან. —	6.298,
გირვანქა სტ. —	4 724,
დოლარები —	928
საბჭ. ფულის ნიშ.	16.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ჩაი, გოგირდი, შაქარი რაფინადი, სკიპიდარი, ტომრები, თოკი, ყველი შვეიცარიის, სარდინი, სპილენძი, ერბო, მარილი, რეზინის ნაწარმოები, მანუფაქტურა, ყურაგა, რკინა, მატყლი, ბამბა, პრობკა, ლურსმანი, თამბაქო, ფქვილი „ნელსონი“, კონსერვები, ბურღული, მინა, შაქრის ფხვნილი, სპირტი.

ბირჟის მოთხოვნილება.

შაქრის ფხვნილი, ამერიკ. ფქვილი, წუმწუმა, შაბიამანი, ადგილობრივი ხორბალი, ყუბანის ხორბალი, ქერი, ფქვილი ყუბანის, „კრუპჩატკა“, სპირტი, თუთუნი, მარილი, ბამბა, მავთული, ჯაგარი, მანუფაქტურა რუსული, მინა ფანჯრის, გოგირდი, თოკი, სოდა კაუსტიკ., მზესუმზირას ზეთი, ცხიმი ტეხნიკური, ტყავი ნედლი.

ტფილისის ბაზრის განწყობილება

31 მარტი.

განწყობილება არ არის მტკიცე. პირველი ხარისხის ფქვილის და ხორბალის ფასებმა ცოტაოდნად აიწია. შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. ნედლი მასალა უცვლელია, ქიმიური საქონლის ბაზარზე გაცხოველება ეტყობა, საერთოთ მიწოდება მოთხოვნილებას აღემატება.

ოფიციალური გარიგებანი.

31 მარტი.

მოხდა გარიგება რეზინის ტრესტის რეზინის ნაწარმოებებზე — 549 000.000 მანეთ. ცარიცინის ქარხნების მავთულის ლურსმანი—3 მან. ფუთი ფრანკო-ტფილისი.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

საერთო განწყობილება სუსტია. მიწოდება გაცილებით აღემატება მოთხოვნილებას. ყიდვისაგან თავს იკავებენ.

ბაქოს ბაზრობის გახსნისათვის.

ბაქოს ბაზრობა გაიხსნება მიმდინარე წლის 20 მაისს და გაგრძელდება 20 ივნისამდე.

საზ. „ჩემოში“.

საზ. „ჩემო“-მ დასდო ხელშეკრულება ინჟინერ ლ. ი. კიზიმასთან შავი ქვის მექანიკურათ დატვირთვა და გადმოტვირთვის მოსაწყობად.

მოწყობილობის სისტემა გამოგონებულია თვით ინჟ. კიზიმას მიერ ამ სისტემით 8 საათის განმავლობაში, 4 მუშის დახმარებით მექანიკოსიანურთ მექანიკურად დაიტვირთება ვაგონებზე 25.000 შავი ქვა 3 მეზობელ ჩიხში მოთავსებულ ბაქნიდან. ამასთანავე სისტემის ერთი ბაქნიდან მეორეზე გადაყვანისათვის დახარჯული დრო შედის აღნიშნულ 8 საათში.

სისტემის ერთი კომპლექტის ცდა უნდა მოხდეს ჭიათურაში 2—3 თვეში და დამაკმაყოფილებელ შედეგების მიღების და კიზიმას მიერ საჭირო ფორმალების შესრულების შემდეგ, მას მიეცემა შეკვეთა, რომელიც დაფარავს შავი-ქვის მთელ ექსპორტს.

თესვის კამპანია

(გორის მაზრა)

გორის სასოფლო-სამეურნეო ორგანო ენერგიულად შეუდგა თესვის კამპანიას. განსაკუთრებულ თათბირზე სამაზკომის ხელმძღვანელობით იქმნა გამორკვეული ზომები კამპანიის ჩასატარებლათ. საჭირო იყო 15.000 ფუთი სათესლე ქერი და პური. დამთესმა კომისიამ აღმოაჩინა მხოლოდ 3000 ფ. ქერი. ეს რაოდენობა იქნა უკვე სესხად გაცემული და დანაკლისი იქნა შევსებული სიმინდით ორმაგ რიცხვით. სათესლე მასალა იქნება განაწილებული ადგილობრივ ხელისუფალთა დახმარებით. სათესლე მასალის დიდი ნაწილი გასუფთავებულია და გადარჩეული სპეციალურ მანქანებით. დამთესი კომისია მოელის დამატებით 4 000 ფუთ სიმინდს, რაიც აგრეთვე გაწმენდილი იქნება და გაცემულ დასათესად სესხის სახით. კომისია მოელის აგრეთვე 1000 ფ. კართოფილს, რაც ისევ გაცემული იქნება სათესლეთ. გამორკვეულია მთელ მაზრაში სათესი მიწის რაოდენობა. **ის აღემატება 15 პროცენტით იმ სივრცეს, რომელიც იყო წინა წლებში.** ყველგან ტარდება ზეპირი პროპაგანდა დამთესი კომისიის და აგრონომების მიერ მის შესახებ, რომ ერთი ნაკვეთი მიწისა არ იქნეს დატოვებული დაუთესავი.

აგრონომიულ განყოფილების განკარგულებაში არის 60 კაცი და 12 სათესი მანქანა, რითაც ეხმარება გლეხობას ხვნა-თესვაში.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— შუამდგომლობა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა რაჭის მაზრის აღმასკომის თხოვნის თანახმად, შუამდგომლობა აღძრა სახ. კომ. საბჭოს წინაშე რათა რაჭის მაზრაში შრომისა და ტვირთზიდვის ხარკი არ იქნეს ფულადი გადასახადით შეცვლილი, რადგან აღნიშნული. მაზრა განიცდის ნივთიერ სიღატაკეს მცხოვრებლები მოითხოვენ აღნიშნული ხარკი მოიხადონ წინეთ არსებული სახით.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— მევინეთა ყრილობა. 13 აპრ. ქ. ყვირილაში დანიშნულია მევინეთა კოოპერატივის ინიციატივით დასავლეთ საქართველოს მევინეთა ყრილობა.

— შაბიამნის მიღება. ახლო მომავალში მიწად მოქმედების კომისარიატი სიზღვარ-გარეთიდან მიიღებს ორ ვაგონს შაბიამანს, რომელიც შეკვეთილი იყო სპეციალურათ ვენახების საქმისთვის.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში.

— სიმონეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გადატანა სვირში. სიმონეთის (ქუთაისის მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გადატანილი იქნება სოფ. სვირში.

ა.-კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

— ახალი სატარიფო კომისია. ა.-კ. შრ. სახ. კომ. რწმ. სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა არჩეული იქნას სატარიფო კომისია ამხ. ა. მიქაძის თავმჯდომარეობით, რომელშიდაც გადამწყვეტი ხმით შევლენ: საქ. პროფესიონალურ კავ. საბჭოს, 3, სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს, სამთომადნო [illegible] წარმომადგენლები.

— ტფილისის მაზრებში დამზღვევი კასების მოწყობა. კოლეგიამ საერთო საქალაქო დამზღვევ კასას წინადადება მისცა დაუყოვნებლივ შეუდგეს ტფილისის მაზრებში მუშა-მოსამსახურეებისათვის დამზღვევი კასების მოსაწყობათ მუშაობას.

განათლების კომისარიატში.

— მუშათა ფაკულტეტი. 28 მარტიდან დაიწყო მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა წმენდა. გამწმენდ კომისიაში შედიან მუშათა ფაკულტეტის, საქართველოს პრ. კავშირთა საბჭოს და მსმენელთა წარმომადგენლები.

— მუსულმანურ სკოლების რევიზია. ტფილისის აღმასკომის განათლების განყოფილების შუამდგომლობის თანახმად გაგზავნა ტფილისის მაზრებში მუსულმანურ სკოლების სარევიზიოთ თავისი ინსტრუქტორი რევიზიის მიზანია გაძლიეროს, იმ მასალების მიხედვით, რომელნიც აშკარავებს აღნიშნულ სკოლების ჩამოქვეითებას, მათი მდგომარეობა.

გამომცემლობა.

— საქ. კომუნ. პარტიის (ბოლშ.) ცეკას გამომცემლობა. რედაქციამ მიიღო ს. კ. პ. ცეკას გამოცემანი ქართულ ენაზე: 1) კ. პ. ნოვიცკი (კ. პეტროვიჩი) „როგორ ჩამოაგდეს მეფე 1917 წ. რუსმა მუშებმა და ჯარისკაცებმა“. წიგნაკი შეიცავს 26 გვერდს; 2) პოლ ლაფარგი—„კაპიტალის სარწმუნოება“, 51 გვერდი. (შინაარსი: ყრილობა ლონდონში. მუშათა კატეხიზმო. დარიგება კურტიზანკასი. კაპიტალის წიგნი კაპიტალისტის ლოცვები. დიდება ოქროს. ჩივილი იობისა—როტშილდის, კაპიტალისტისა).

უდინთა დამხმარე საზოგადოებაში

— დღეს, 1 აპრილს, დილის 11 საათზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის შენობაში (რუსთაველის პრ. № 24 მე-3 სართული) შესდგება ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის პირველი სხდომა. სხდომის მომწვევი კომისია სთხოვს გამგეობის ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ ამ სხდომას.

კრებები და მოხსენებები

— რაჭველების კრება. კვირას, 1 აპრილს, დილის 10 საათზე თბილისის აღმასკომის დიდ ზალაში (ყოფილი საბჭოს ზალა) დანიშნულია კრება თბილისში მცხოვრებ რაჭველებისა, რაჭის მაზრის შესახებ ზოგიერთ საკითხების გამოსარკვევათ. კრებას იწვევენ რაჭის აღმასკომის თავმჯდომარე პარმენ წულუკიძე და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე. სთხოვენ რაჭის ყველა მცხოვრებთ აუცილებლათ დაესწრონ.

სხვა და სხვა.

— ოვანეს თუმანიანის დამკრძალავი კომისია. საბჭ. სომხ. სახკომისართა საბჭოს მიერ დანიშნული ოვანეს თუმანიანის დამკრძალავი კომისია აცხადებს იმ პირთ და დაწესებულებათა საყურადღებოთ, ვისაც სურს რაიმე მონაწილეობა მიიღოს თუმანიანის დაკრძალვის პროცესიაში ან წერილებით, ან დეპეშებით და ან სხვა რაიმე რამით წინასწარ უნდა მიმართოს დამკრძალავ კომისიას შემდეგ მისამართით: პეტრე დიდის ქუჩა № 6 ჰაიარტუნ. დილ. 10—3 საათამდე. განსვენებულის ნეშტი ჩამოსვენებული იქნება ტფილისში 7 აპრილს.

— ამხ. მიქელაძის ხსოვნად. 18 თებერვალს წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების მიერ მოწყობილი იქმნა სამოქალაქო პანაშვიდი და მოგონებათა საღამო 1-ლი ცხენოსან კორპუსის სამხკომის ამხ. ვ. მიქელაძის სახსოვრად, რომელიც მხეცურად იქნა მოკლული ფრონტზე მახნოველების მიერ. სიტყვები დასრულდა მოწოდებებით—განაგრძონ ის საქმე, რომელსაც ის შეეწირა და დაადგინეს ქართულ დივიზიის წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბის ბიბლიოთეკა ამიერიდან წოდებულ იქნას მიქელაძის სახელობის ბიბლიოთეკათ. კვირას საღამოს 6 საათზე ზემოხსენებულ ბიბლიოთეკის სამკითხველოში გამართულ იქნება წითელ არმიელთათვის საუბრები და მოგონებანი ამხ. მიქელაძის ცხოვრება მოღვაწეობიდან სარევოლიუციო ასპარეზზე და მის საგმირო მოქმედებებზე სამოქალაქო ომეში.

— მისაბაძი მაგალითი. ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს თანამშრომელთა კრებამ დაადგინა ყოველთვიურად უპატრონო ქუჩის ბავშვების დასახმარებლად გადარიცხოს ნახევარი პროცენტი ჯამაგირებიდან, წითელი ფლოტის აღსადგენათ კი აგრეთვე ნახევარი პროცენტი.

— უბედური შემთხვევები. რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის საავად.) ცნობით მარტის განმავლობაში ავტომობილებმა დაჰშავა 8, რომლებისაგან გარდაიცვალა 4. გაცემულია განკარგულება და მკაცრი წინადადება მიეცა შოფერებს რათა ავტომობილები წაიყვანონ ნორმალურათ და სიფრთხილით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

„საბჭოთა სამართლის მოამბე“

ოთხშაბათს, აპრილის 4-ს, გამოვა „საბჭოთა სამართლის მოამბე“ პირველი ნომერი. „მოამბის“ მიზანია არა მარტო თეორეტიული გამორკვევა საკანონმდებლო მასალისა, არამედ იგი ეცდება მუდმივ და ფართოთ გააშუქოს ის პრაქტიკული საკითხი, რომელიც შეხვდება ყოველ დღიურ მუშაობაში, როგორც იუსტიციის, ისე საბჭოთა სხვა დაწესებულების მუშაკს. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, უკეთუ ამხანაგები საბჭოთა მუშაკები თავის წერილით, კორრესპონდენციით, შეკითხვით იმ საკითხების გამო, რომელიც მათთვის გაუგებარი იქნება, შენიშვნებით და სხვ. აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალში და არ მოერიდებიან იმას, რომ მათი ნაშრომი გარეგნულად ზოგჯერ არც ისე კარგი იქნება. „საბჭოთა სამართლის მაუწყებელში“ ჰპოვებენ პასუხს და განმარტებას სამართლის და საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ, არა მარტო იუსტიციის კომისარიატის მუშაკნი, არამედ საბჭოთა ყველა დანარჩენ დაწესებულებათა თანამშრომელნიც.

იუსტიციის სახალხო კომისარი
ი. ვარძიელი.

პატარა ფელეტონი

სულთა თანა

...აღსრულებულთა მართალთასა...

(„განსვენების წესიდგან“).

დადგა აპრილი (ჩადგა მარტია)
ზამთრის თოვლივით დადნა პარტია,
ძველი პარტია მენშევიკური....
(ბოლოს ბანდიტურ „მაშენიკური“.)
მუნით გარბიან მუშები ყველა...
მღვდლებმაც კი მჯიღში ასტეხეს ხველა
და მიკიტნებიც დასძენენ „ზურნას“...
(ადრე რომ კენჭით უვსებდენ „ურნას“).
დღეს იმ პარტიის ძველი ხუხულა
ისე ჩანგრეულ-ჩამონცუხულა,
რომ „ლამურებიც“ გარბიან მუნით
თავპირ გლეჯით და წუწუნ-კრუსუნით;
„ვაი, რა დღეში ჩავარდა ჩვენი
თავშესაფარი და შესასვენი!..
ჩაიქცა ფუძე, ჩაინგრა „სხვენი“...
გვყავდა ირაკლი, ნიკო, ევგენი...
დღეს ევროპაში წოწვენ ეგენი...
სამი ნოე და ერთიც ბენია...
დღეს აღარც ერთი არ შეგვრჩენია...
(თუმც ამ „სიტიტვლის“ არც კი გვრცხვენია)
ბევრი სხვაც გვყავდა „შტრინკი“ ბიჭები.
შავის გულით და თეთრის კიჭებით,
მაგრამ დღეს ყველამ გვიჩვენა ზურგი
და „არიადნის“ დაირღვა „მურგი“...
თვით თევზაია და გოგოლაძეც
აღარ გაჩერდენ ჩვენს მოყოლაზე,
დღეს კომპარტიას თვალს უშკრებიან,
ფეხთ ეცებიან, ქვეშ უძვრებიან...
ვაი, რა დღეში ჩავარდა ჩვენი
თავშესაფარი და შესასვენი!..
შიგ დატრიალდა ჩეკას კლანჭები,
მან ჰპოვა ჩვენი ყველა სტამბები,
ჩვენი ქსელები და „აბლაბუდა“
სულ ყველა მხეზე გადმოაყუდა,
და მიმოჰფანტა, ვით ხურდა-მურდა...
ბოლოს ვერ მივხვდი ჩვენ თვით რა გვსურდა?!.
თუ არ მოგვწონდა ეს „დიქტატურა“,
მუშები მაინც რამ შეგვაძულა?..
რატომ ვერ ვსცანით ჩვენ ჩვენი კლასი?..
დროზე ვერ დავსდეთ ჩვენ თავს ფასი...
და თუმც დღეს არის ცოტა გვიანი,
„ბნელ ნანგრევს“ მაინც დღე სჯობს მზიანი“!..
და... გამოდიან დღის სინათლეზე,
ვით „დაჭერილი ქურდები თხლეზე“!..

ონისიმე.

არტელების და საზოგადო სამუშაოთა მომწყობი ბიურო

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს კოლეგიის მიერ დამტკიცებულ იქნა ცენტრალურ შრომის ბირჟასთან არსებულ რესპუბლიკანურ მასშტაბით მომქმედ არტელების და საზოგადო სამუშაოთა მომწყობი ბიუროს შემადგენლობა: 1) არტელების ბიუროში შედიან საქ. პროფ. კავშ. საბჭოს, სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს და შრომის ბირჟის თითო წარმომადგენელი. ამასთანავე საჭიროებისამებრ ბიუროს უფლება აქვს კოოპერატიის საშუალებით მოიწვიოს პარტიული და სხვ. სამეურნეო და პროფორგანიზაციების წარმომადგენელნი. 2) არტელების ბიუროს მიზანს შეადგენს, შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევრების შრომისა და საწარმოო არტელების მოწყობა და ამასთანავე უმუშევართათვის საზოგადო სამუშაოთა გამონახვა.

3) ამ მიზნით არტელების ბიურომ უნდა იქონიოს მჭიდრო კავშირი პროფორგანიზაციებსა, სამეურნეო ორგანიზაციებთან [illegible] გამონახოს საშუალებანი საზოგადო სამუშაოთა და არტელების მოსაწყობად.

აგრეთვე გაუწიოს დახმარება იმ უმუშევართ, რომელთაც სურს არტელების მოწყობა, შეიმუშაოს არტელების უფლება და მოვალეობის წესდება და არტელების მუშაობის შინაწესრიგი, აღრიცხოს ხელ-ახლად ყველა მოწყობილი არტელები და მისცეს მათ სათანადო ინსტრუქციები, გაუწიოს დახმარება არტელებს ყოველდღიურ მუშაობაში სათანადო ორგანოების წინაშე შუამდგომლობის აღძვრით, მაგალითად არტელებისათვის შეღავათები ბინის შოვნისა, ელექტრონულ განათების გაყვანისა, გადასახადთა გადახდისაგან სხვ.. გასწიოს კონტროლი და დააყე[illegible] საქმის წამოწყება და ანგარიშიანობა.

4) არტელების ბიუროს დადგენილებანი სისრულეში მოყვანილ იქნეს შრომის ბირჟის კომიტეტის სანქციის შემდეგ.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციაში

თავის სხდომაზე მარტის 22-ს სექციის ბიურომ გაარჩია რა „ზაკავკაზ. გუდოკის“ თანამშრომლის საიანსკისა და „რაბოჩაია პრავდას“ თანამშრომლის „ზუბმუდროსტის“ საქმე, გამოიტანა შემდეგი დადგენილება.

1) აღიარებულ იქნას, რომ საიანსკის ლექსი პორნაგრაფიული ხასიათისაა.

2) დაეკისროს პასუხისმგებლობა „გუდოკ ზაკავკ.“ რედაქციას ამ ლექსის მუშურ გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდვისათვის რის გამოც „ზუბ მუდროსტის“ და „რაბოჩაია პრავდას“ რედაქციას უფლება ქონდათ გაელაშქრებიათ პრესის საშუალებით საიანსკის და „გუდოკ ზაკავკ“ რედაქციის წინააღმდეგ.

3) აღიარებულ იქნას, რომ „ზუბ მუდროსტის“ ლექსში ადგილი არ ჰქონია საიანსკის ფსევდონიმის გამომჟღავნებას.

4) ყოვლად დაუშვებლად ჩაითვალოს პარტ-საბჭოთა პრესის ფურცლებზე პოლემიკის ის ფორმა, რომელიც აქვს „გუდოკ ზაკავკ“ რედაქციის ღია წერილს „რაბოჩაია პრავდას“ და „ზარია ვასტოკას“ სახელზე, კერძოთ ისეთი სიტყვების ხმარება, როგორც არის „საზიზღარი სისინი“ („ზარია ვასტოკას“ მიმართ) და „ყვითელი პოლემიკა“ („რაბოჩაია პრავდას“ მიმართ).

5) სამედიატორო სასამართლოს საკითხი საიანსკის და ვინც არ უნდა იყოს სხვის შორის ამ შემთხვევაში ჩაითვალოს საიანსკის კერძოთ საქმეთ.

წ. ჯ. ს. განყოფილებების გახსნა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჯერჯერობით ტფილისის მასშტაბით არსებობს, მაგრამ თავის სახელწოდების გასამართლებლათ და დასახულ ამოცანების ცხოვრებაში განსახორციელებლათ ამ დღეებში ის ხსნის თავის განყოფილებებს ქუთაისში, ბათომში და ფოთში.

ჩვენი საზოგადოების ფართო მასებს წითელი ჯვრის საზოგადოებაზე ერთობ ცუდი შეხედულება აქვს. ეს საზოგადოება მიაჩნიათ საქველმოქმედო საზოგადოებათ. ეს ასე სრულებითაც არაა.

წითელი ჯვრის საზოგადოება ხალხის და მის იარაღით ხელში დამცველებს შორის შუამავალი ორგანოა. ის აბამს კავშირს დახმარების სფეროში შინ დარჩენილ და ომში წასულ მშრომელთა შორის მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მეომართა სასარგებლოთ გაღებული შეწირულება მოწყალება არა და ასეთი შეწირულების გაღება ყოველ ჩვენთაგანის მოქალაქეობრივ მოვალეობას შეადგენს.

სწორეთ ეს აზრი უნდა დაედვას საფუძვლათ ბათომს, ფოთს და ქუთაისში განყოფილებების გახსნას და ამ პრინციპით უნდა შემოკრბენ იქ მშრომელნი. ყოველმა მშრომელმა მოვალეობათ უნდა გაიხადოს ამ საზოგადოებაში წევრათ ჩაწერა და მისდა სასარგებლოთ შეძლების დაგვარათ შეწირულების გაღება.

პროვინციაში განყოფილებების გახსნისათვის მიემგზავრებიან საზოგადოების ცენ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ისე როგორც ტფილისში ამ საქმის მოწყობაში მათ უნდა დაეხმარონ პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

მეტი ყურადღება და მზრუნველობა წითელი ჯვრის საზოგადოებას.

გ. მ.

პროვინციაში

ახალ-სენაკი

მოწაფეთა საღამო

25 მარტს ქალაქის საბჭოთა თეატრში მოწყობილ იქნა საღამო ახალ-სენაკის 1 საბჭ. შრომის სკოლის მოწაფეთა მიერ.

საღამოს ინიციატორნი იყვნენ ხსენებული სკოლის უფროსი კლასის მოწაფენი, რომელთაც, სათანადო ხელმძღვანელების, ვისგანაც ჯერ იყო დიდი აქტიობა გამოიჩინეს ამ საქმეში; მათ დადგენილი ქონდათ, რომ ამ წარმოდგენიდან შემოსავალი გადადებული ყოფილიყო მათივე სამკითხველოს და ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

რამოდენიმე თვის წინ ხსენებული სკოლის მოწაფეთა თვითმართველობამ გამოუშვა გაზეთი და მოაწყო პატარა სამკითხველო—ბიბლიოთეკა. წყურვილი გაზეთების და წიგნების კითხვისადმი უფრო და უფრო გაიზარდა მოწაფეებში; მათ იგრძნეს ბიბლიოთეკის მნიშვნელობა და ამ თვითონაც შეუდგნენ ამ წყურვილის

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშა-კორესპონდენტებს

არ დაგავიწყდეთ ამხანაგებო, რომ კვირას 1 აპრილს დილის 9 ნახევარ საათზე დანიშნული გვაქვს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში (კრუზენშტეინის ქუჩა № 4) ჩვენი თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების

მე 4 მორიგი კრება

კრებაზე დასწრება ყველა ამხ. მუშა-კორესპონდენტისთვის სავალდებულოა, და აგრეთვე სასურველია თანაგრძნობ მუშების დასწრებაც.

კინო-თეატრების მუშა მოსამსახურეთა შორის.

მიმდინარე წლის 27 მარტს კინო-პალასის შენობაში შესდგა მე-10-ე რაიონის კინო-თეატრების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ლ. ტანდიტი, მდივნობდა ამხ. ტერმენასოვი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები.

1. წითელ არმიის მოღვაწეობის შესახებ.
2. კულტ-შეფობის შესახებ წითელ არმიაზე.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს წითელ არმიის სახელით ამხ. ვასილიევი ის საერთო კრებას მოკლედ აცნობებს იმ არმიის მუშაობას, რომელმაც მოუპოვა სრული თავისუფლება და ყველა უფლებები დაბეჩავებულ ამიერ-კავკასიის მუშათა კლასს.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, სამეურნეო აღმშენებლობასთან ერთად სწავლა-განათლებას.

წითელი გმირები წინ უნდა წავწიოთ სწავლა-განათლებით.

კრება დიდი ტაშით აჯილდოებს ამხ. ვასილიევს.

შემდეგ ამისა მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. ტანდიტი, რომელიც აცნობებს კრებას „რაბისი“-ს მე 3 ყრილობის დადგენილებას იმის შესახებ, რათა მოხდეს კულტ-შეფობა წითელ არმიელების ყველა ნაწილებში, რისთვის დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე შემოიარა ოთხი წითელი არმიის ნაწილები, სადაც კომისია გაეცნო მათ კულტურულ მუშაობას. მასთან მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „რაბისი“-ს წევრებს და წითელ-არმიელებს შორის დღემდის არ იყო შეკრული მტკიცე და ძმური კავშირი, მაგრამ დღეს კი შეიძლება თამამად ითქვას, რომ მე-3-ე ყრილობის ენერგიული შრომით დღეს ჩვენ შევკარით ძმური კავშირი ერთმანეთს შორის. ეს მით უფრო სასიხარულოა ჩვენთვის ვინაიდან წითელი არმია, შესდგება მუშებისა და გლეხებისგან. ყველა ჩვენი გლეხის შვილები და ქართველი მუშები არიან. წითელი ჯარი მოგვიწოდებს გავუწოდოთ ერთმანეთს ძმური ხელი და გვეუბნება: „ჩვენ თქვენთანა ვართ, თქვენც ჩვენთან იყავით. მხოლოდ რაც შეგიძლიათ, მოგვეცით მეტი განათლება“ და ჩვენი ვალია. ამ მოწოდებას სერიოზულად შევხვდეთ და დავეხმაროთ ჩვენს წითელ ჯარს ყოველ მხრივ.

შემდეგ ამისა კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება წითელ არმიაზე და კულტ-შეფობის შესახებ. ჩვენ, მიხაილოვის რაიონის კინო-თეატრების მუშა მოსამსახურენი მზათა ვართ მთელი ჩვენი ცოდნით, ძალით და გამოცდილებით შევუწყოთ ხელი წითელ არმიელების კულტურულ გათვითცნობიერებას. სიამაყით და სრული შეგნებით ვიღებთ ჩვენ თავზე ამ ამოცანის განხორციელებას მთელს სიმძიმეს და პასუხისმგებლობას“.

ინფ. მუშა გ. მ-შვილი.

ს. მ. უ. საქოს ცენტრალური უნივერსალური სავაჭრო.

№ 3. ხახალის ქუჩა.

ზემოხსენებული სავაჭრო თავისი ქონებით და ფართე ვაჭრობით მართლაც უნივერსალურია სხვებთან შედარებით. აქ მომუშავეთა რიცხვი 16 კაცს უდრის, რომელთაგან 7 ნოქარია, 3 კანტორაში მომუშავე, 1 დამგველ-მიმლაგებელი 1 დარაჯი, 3 კონტროლიორი და 1 მაღაზიის პასუხისმგებელი გამგე. სავაჭროს ცენტრში მდებარეობის გამო აქ მუდამ აუარებელი მუშტარი იყრის თავს და მეტად განსაზღვრული რიცხვი ნოქრების მუშტარს სავსებით ვერ აკმაყოფილებს მაღაზიაში თითქმის მუდმივი რიგია მუშტრებისა და ნოქრებს უხდებათ განუწყვეტელი და შეუსვენებელი მუშაობა დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე მუდმივი საქმიანობით დატვირთულ აქ მომუშავე ნოქარს მთელი რვა საათის განმავლობაში 10 წუთი დრო არა აქვს ჩაის დასალევად და სადილის საჭმელად. ასე რომ მათ დილიდან საღამომდე მშიერ წყურვილით უხდებათ მეტად მძიმე და ინტენსიური მუშაობა. ამგვარი დიდ სავაჭრო დაწესებულებაში ნოქართა ასეთი მცირე რაოდენობა უნდა ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ მაღაზიაში ბოროტმოქმედებას, (ქურდობას) აქვს ხოლმე ადგილი: მრავალი მუშტარის მოზღვავების გამო, რომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ნოქრებს ევალება, ამ უკანასკნელებს საშვალებას უსპობს ყველა მოსულ მუშტარს თვალყური ადევნონ, ამით სარგებლობს ზოგი უსინიდისო და ზნედაცემული პირი და საქმით გართულ ნოქარს საქონელს ჰპარავს. ასეთი შემთხვევა თუმც აქ ხშირი არ არის, მაგრამ მაინც ხდება, რაც ნოქრებს ძალიან უხერხულ და გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს. პასუხისმგებლობას ყოველ დაკარგულ საქონელზე ნოქრებს აკისრებენ და ისინიც იძულებული ხდებიან თავისი ღარიბი ჯიბიდან მილიონობით აანაზღაურონ დაკარგული საქონლის ფასი, რაც სამართლიანად ვერ ჩაითვლება, ვინაიდგან საქონლის დაკარგვის მიზეზი არ არის უყურადღებობა ნოქრების. არამედ ის გარემოება, რომ მრავალ-რიცხოვან მუშტარს ვერ ასდის ნოქრების მცირე რიცხვი და ამიტომ ნოქრების საერთო მოთხოვნილებაა, მოსალოდნელი ბოროტების თავიდან ასაცილებლად გადიდება ნოქართა რიცხვისა და იგრეთ წოდებული „პოდრუჩნიკ“-ის ყოლა, რომელიც გადმოღებული მანუფაქტურის და ფოთლეულის თავის ალაგზე ისევ დალაგებას იკისრებს. არავითარ შემთხვევაში დაკარგული საქონლის შესახებ პასუხისმგებლობა კონებრივი არ უნდა აწევს კისერზე ნოქარს, რომელიც კერძო სავაჭროებშიც კი განთავისუფლებულია ამგვარი პასუხისმგებლობიდან აქ მომუშავენი ყველა პროფკავშირის წევრებათ ითვლებიან ნოქრები გამოცდილების და სტაჟის მიხედვით კატეგორიებათ არიან დაყოფილი 2 ძველი მუშა დიდი სტაჟის და თავისი საქმის „სპეცები“ ღებულობენ მე-10 კატ. მიხედვით თითო დაახლოებით 19 მილიონ მან. თვეში ნაკლები სტაჟის მუშები ირიცხებიან 9 კატეგორიაში და იღებენ 17 მილიონს, სამი ნოქარი, შედარებით ახალგაზრდები 8 კატეგორიით იღებენ 15 მილიონს. ამ უკანასკნელ სამ მუშათა ჯგუფიდან გამოყოფილია ნოქარი ამხ. პოლტულოვი, რომელიც ამ სამზე ნაკლებ მუყაითად არ მუშაობს, გასამრჯელოს კი ერთ კატეგორიის ნაკლებს ღებულობს. ეს უსამართლობა ყველა მის ამხანაგში საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს. მათი მოთხოვნილებაა ამხ. პოლტულოვის გათანასწორება სხვა მის ტოლ მუშებთან. მუშები ჯამაგირს ყოველთვის თავის დროზე ღებულობენ. მაგრამ რადგან ბევრი მათთაგანი წვრილ-შვილის პატრონია და ოჯახური გარემოება ჯამაგირის ლოდინს ვერ ითმენს, მუშების საერთო სურვილია, სავაჭროებისამებრ ჯამაგირის მიღებამდე ავანსათ ეძლეოდეთ რამოდენიმე მილიონი გადაუდებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. აგრეთვე მუშების საერთო მოთხოვნილებაა, რათა მათ, როგორც ადგილობრივ მომუშავეთ, საქონელი ეძლეოდეთ თუ ნაყიდობის კალონაზე არა რამოდენიმე პროცენტით ნაკლებად მაინც. როგორც ეს მიღებულია სხვა სახელმწიფო და საზოგადო სავაჭროებში. ეს მოთხოვნილება საფუძვლიანია მით უფრო, რომ მათ უფრო ნებას არ აძლევს სხვაგან წავიდნენ სავაჭროდ და უფრო იაფ ფასეში შეიძინონ საქონელი. კანტორაში მომუშავეთათვის თუმც კანონით 6 საათია დაწესებული, მაგრამ აქ ისინი იძულებული არიან თავისი მუშაობის ხანგრძლიობა ფიზიკურათ მომუშავეებს შეუთანხმონ, რის გამო მათ უხდებათ 6 საათის ნაცვლათ 8 საათის მუშაობა. მართალია ზედმეტი მუშაობისათვის ღებულობენ გასამრჯელოს, მაგრამ არა იმდენს, რაც კანონით არის განსაზღვრული.

საჭიროა ზემო ჩამოთვლილ დეფექტებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ინფორ.-კორ. უცხო.

მუშათა ქრონიკა.

ხელოვნების კავშირის წევრთა და წითელ არმიელთა შეერთებული დემონსტრაცია.

— ხელოვნების კავშირის წევრთა მესამე ყრილობის დადგენილებით მიმდინარე წლის 2 აპრილს უნდა მოეწყოს „რაბისი“-ს წევრთა და წითელ არმიელთა შეერთებული დემონსტრაცია, რის შემდეგ წითელ არმიელებს „რაბისის“ მიერ გადაეცემა წითელი დროშა წითელ არმიაში შეერთებულ კულტმუშაობის აღსანიშნავათ.

იმავე დღეს საღამოს ქალაქის ყველა თეატრებში და კინო-თეატრებში მოეწყობა წითელ არმიელთათვის უფასო საღამო.

ხელოვნების კავშირის კულტფონდის გაძლიერება.

— ხელოვნების კავშირის წევრთა საერთო კრებამ მიმდინარე წლის 27 მარტს დაადგინა, რათა მეორე რაიონის კინო-თეატრებში თვეში ერთხელ ნაჩვენები იქნას რევოლიუციონური სურათები, რომლის ყველა შემოსავალი მთლიანად უნდა მოხმარდეს „რაბისის“ კულტმოთხოვნილებას.

— იმავე კრების დადგენილებით „რაბისის“ მუშა-მოსამსახურეთა ორგანოდ გამოწერილ უნდა იქნას „ხელოვნების ჟურნალი“.

დასაკმაყოფილებლად გზის გამონახვას.

წარმოდგენის დადგმის წინ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ერთ მოწაფეთაგანმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა სხვათა შორის, რომ ძველი სკოლა სქოლასტიკური იყო მოწაფეთათვის უცხო სხრით, ხოლო ახალი სკოლა კი გზის გამკაფავია კულტურისაკენ, თავისუფლებისაკენ და ჭეშმარიტ განათლებისაკენ. ახალ სკოლაში ადგილი აქვს ყველას მაშინ, როდესაც ძველ სკოლაში მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ სწავლის მიღება.

დადგმულ იქნა: 1) „სისხლის სიწითლემდე“, 2) „ობოლი“, 3) „საღამოს [illegible] სკოლაში“. თითოეული პიესა ჩინებულად იქნა ჩატარებული; არავინ არ მოელოდა, თუ ასეთ უნარს გამოიჩენდნენ მოწაფეები; ჰქონდა ადგილი პატარა დეფექტებს, რომელთა გამოსწორება სულ ადვილია; დამსწრე საზოგადოებამ აშკარად დაინახა, თუ რა დიდი შესაძლებლობა ყოფილა დამალული წინად ყველასაგან მივიწყებულ ცოცხალ არსებებში. პიესაში ერთი როლი ქონდა აღებული აგრეთვე ხსენებული სკოლის დარაჯსაც.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი; წაკითხულ იქნა რევოლიუციონური შინაარსის ლექსები.

ამ საღამოს საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ეს საღამო თითქოს ეუბნებოდა დამსწრეთ, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღების მიქცევა მოწაფეობაში, იმ ახალგაზრდობაში, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი მომავალი.

ვ წ—ლი.

სუფსა

შაბათს, 17 მარტს სუფსის თეატრში ადგილობრივმა რკინის გზელებმა, რკინის გზის კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციის სასარგებლოდ, გამართეს [illegible] საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენილი იყნა ძველი ისტორიული პიესა „და-ძმა“, რაც კარგად ჩაატარეს ჩვენმა სცენის მოყვარეებმა მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პიესები, როგორიც „და-ძმა“ და სხვ., რომლებიც მხოლოდ ნაციონალისტურ გრძნობებს აღვივებენ და ხალხს კი არაფერს ამცნობენ, დროა და საჭირო აღარ განმეორდეს ჩვენს სცენაზე. საჭიროა უფრო ღირსშესაფერი და რევოლიუციონური პიესების გამონახვა.

ხალხი წარმოდგენას აუარებელი დაესწრო. ყველა ვერ მოთავსდა თეატრში და იძულებული გახდენ გარედან ეყურებინათ წარმოდგენისათვის. საღამოში მონაწილეობა მიიღო ბათომის უბნის რკინის გზის მოსამსახურეთა გუნდმა და სამხედრო მუსიკამ. გუნდმა რამოდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა ამხ. ქიპაშვილის ლოტბარობით, რითაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ეტყობა, რომ გუნდს ნიჭიერი ხელმძღვანელი ყავს. ბოლოს გაიმართა კაბარე-კუპლეტები და ცეკვა. იცეკვეს აუდიტორიიდანაც. ხალხი იმდენად გაიტაცა საღამომ, რომ უკვე ორი საათი გათავებულიყო და ის სცენას თვალს არ აშორებდა ყველაფერი კარგი და სასიამოვნო იყო, მაგრამ არის ერთი ნაკლი, რომელიც ძლიერ თვალსაჩინოა და რომლის აშორება თვით ჩვენი ხალხის საქმეა. ეს არის დიდი სახლის უქონლობა. ვინც ამ საღამოში მიიღო მონაწილეობა, ის პირადათ დარწმუნდებოდა, რომ ხალხში თეატრისადმი სიყვარული დიდია და ამიტომ მისთვის საჭიროა სათანადო შენობაც. ეს ნაკლი უკვე აღნიშნეს ჩვენმა ბათომელმა სტუმრებმაც. მათ უსურვეს სუფსელებს სახალხო სახლის მალე დამთავრება და მაშინ ჩვენც უფრო ხშირად გესტუმრებითო. საღამომ გასტანა სამ საათამდის, რის შემდეგ ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. ბუფეტი ვაჭრობდა დილამდისაც.

წმინდა შემოსავალი საღამომ დასტოვა ოცდახუთი მილიონი მან, რაც უკვე დანიშნულებისამებრ რკინის გზის ბათომის უბნის კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციის გასაძლიერებლად გადაეცა.

ანდრო თოდრია.

მარტვილის რაიონი (სენაკის მაზრა)

კარგად იქნა ჩატარებული (მარტვილის რაიონში ქ. მარტვილის ხუნწის და ნაგვაზოვის თემებში) მიწის რეფორმის, რელიგიასთან ბრძოლის და ხვნა-თესვის კამპანიები; მიუხედავად იმისა, რომ მარტვილის რაიონში მიწის რეფორმა წინედ თითქმის ჩატარებული იყო, მემამულეების მიწის უკანასკნელი აზომვის შემდეგ აღმოჩნდა ჩამოსართმევი 320 ქცევა, რომელიც დაურიგდა 370 მცირე მიწის მქონე მეურნეს აგრეთვე მემამულეებს და სოფლის პარაზიტ-ბოსოლებს ჩამოერთვათ 7 სახლი, რომლებიც გამოყენებულია საზოგადო საჭიროებისათვის.

არა ნაკლები ყურადღება იქნა მიქცეული მონობის ნაშთის-რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მშრომელ მასებში, და მათივე საერთო კრების (მიტინგი ცალ ცალკე თემებში). დადგენილებით, ყველა ეკლესიები იქნა გადაკეთებული სკოლებათ, სახალხო სახლებათ და სამკითხველოებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ მარტვილის მღვდლებმა რიცხვით 17 კაცმა დასტოვეს მღდლობა, ამაზე ღმასკომებში განცხადებები შემოიტანეს, გახადეს ანაფორა და გაიკრიჭეს. წარჩინებულად იქნა ჩატარებული აგრეთვე ხვნა-თესვის კამპანია, რასაც დიდად შეუწყო ხელი მიწის რეფორმის დროზე დასრულებამ.

მარტვილის რაიონის მშრომელი მასის თანაგრძნობა განუსაზღვრელია საბჭოთა მთავრობისადმი.

ი. გონიავა.

სოციალისტ-ფედერალისტების განცხადება

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

ჯერ კიდევ ამ ორიოდე წლის წინად მე უკვე მქონდა შეგნება იმისა, რომ ერთად ერთი ძალა რომელსაც შეუძლია მსოფლიოს მუშათა კლასის რკინის ბორკილების დამსხვრევა და მისი განთავისუფლება შეუძლია ამ მუშათა კლასს მხოლოდ მე-3-მე ინტერნაციონალის მეთაურობით. მაგრამ განვიზრახე მოვიცადო, ჩემი აზრების ჩამოყალიბება კომუნისტურ აზროვნებასთან შეთანხმება რომ შემდეგ მეწოდებინა ჩემი თავისთვის კომუნისტი და შევსულიყავი პარტიაში. მანამ კი სხვა და სხვა მოსაზრებით ჩავირიცხე საქ. მემარცხ. სოც. ფედ. სარ. პარტიის წევრად. მაგრამ ამ პარტიაში ყოფნის დროს არავითარ პარტიულ მუშაობას არ ვეწეოდი, გარდა იმისა, რომ ვესწრებოდი პარტიასთან არსებულ „არჩილ ჯორჯაძის“, სახელობის პოლიტიკურ წრის მოხსენებებზე. თუ კი რამე ეჭვები მქონდა დღემდე კომ. პარტიის მოქმედებაზე ეს ეჭვები უკვე გაქრა და შეგნებულად მწამს, რომ ერთად ერთი ძალა მსოფლიოში რომელიც გამომხატველია მსოფლიო მუშათა კლასის ინტერესებისა და მისი დამცველია—ეს არის კომუნისტური პარტია. გამოვდივარ რა ამ მიზეზებიდან ვსტოვებ ზემო აღნიშნულ პარტიას რომელსაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიე, ფორმალურად ვეკუთვნოდი, და შეგნებულად ვდგები კომპარტიის პლატფორმაზე, მუშათა კლასის მოწინავე რაზმის მებრძოლთა რიგში.

ა ბიჭაშვილი.

29 მარტი 1923 წ.

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთ „კომუნისტი“-ს უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი განცხადება:

1917 წლიდან მე ვირიცხებოდი საქართველოს სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრად და ვითვლებოდი მათ ორგანიზაციაში 1921 წლამდე დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა მე ვიგრძენი სრული პოლიტიკური სიცრუე და საჭიროდ ვცანი ყოველივე კავშირის გაწყვეტა აღნიშნულ ორგანიზაციასთან. ორი წლის კომუნისტური პარტიის ინტენსიურმა მუშაობამ და მოქმედებამ, სრულიად შეგნებულად მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს მუშის ინტერესების დაცვას და მის მდგომარეობის გაუმჯობესებას. რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც მიდის სწორი გზით სოციალიზმისაკენ და იცავს პროლეტარების ინტერესებს არის კომუნისტური პარტია. ამ დღიდან სრული თანაგრძნობით ვუყურებ არსებულ წესწყობილებას, ვიზიარებ მათ პროგრამას და გამოვთქვამ სურვილს მათთან მუშაობისას პროლეტარულ ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ქ ნუცუბიძე

1923 წ. 31 მარტი.

ამხ რედაქტორო!

გთხოვთ დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ შემდეგი:

ორი წლის საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში საქართველოში ჩემს მიერ დაკვირვებამ ნათელ ჰყო ჩემთვის თუ ვინ არის მუშათა ინტერესების ნამდვილი დამცველი, რა ბედნიერება მოუტანა საქართველოს და ქართველ ერს მისი განთავისუფლებით იმპერიალისტური ბურჟუაზიის ლაქია—მენშევიკებისა და მათ დანქაშ ფედერალისტ-ნაციონალ დემოკრატთა ულლისაგან. ქართველი ერი მხოლოდ ეხლა ზეიმობს: აღარ არსებობს შური და მტრობა მეზობელ ერთა შორის. დამყარდა ურთიერთ შორის ძმური კავშირი.

დავინახე რა ყოველივე ეს, მე საქ ფედერალისტთა პარტიის წევრი 1915 წლიდან, ვტოვებ ამ ნაციონალისტურ შოვინისტურ პარტიას და ვრჩები ყოველივე პარტიის გარეშე. საბჭოთა ხელისუფლებასთან კი მსურს ვიმუშაო მის განმტკიცებლად და მეურნეობის აღდგენის ხელის შესაწყობათ.

ი. კალანდაძე

31 მარტი 1923 წ.

ამხ. რედაქტორო

გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

მე ვითვლებოდი სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის წევრად, დღეს ვტოვებ ხსენებულ პარტიას და მსურს გადავიდე კომუნისტურ პარტიაში.

ბაგრატ ჭელიძე,

1923 წ. 29 მარტი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— მე-4 სარაიონო კომიტეტი აცხადებს, რომ ა. წ. 2 აპრილს დილის 9 საათზე შესდგება სარაიონო კომიტეტის პლენუმი. სარაიონო კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ ხაცკევიჩი.

— ორშაბათს ა. წ. აპრილის 2-ს თბილისის ღმასკომის ყოფილ საბჭოს დარბაზში საღამოს 6 საათზე შედგება სადელეგატო კრება საქართველოს კ. პ. თბ. ორგ. მე-4 რაიონის იაჩეიკების მდივანთა მონაწილეობით. არჩეულ დელეგატებს წინადადება ეძლევათ მიიღონ მანდატები სარაიონო კომიტეტში.

ყველა დელეგატების და იაჩეიკების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ ხაცკევიჩი.

— საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის წევრებს—პოლონელებს და პოლონურ ენის მცოდნეებს, ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ რეგისტრაციაზე ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო ქვეგანყოფილებაში.

რეგისტრაცია წარმოებულ იქნება 27 მარტიდან 2 აპრილამდე. დილის 9 საათიდან—დღის 3 საათამდე

ახალგ. კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი ადამიანი

რ. ქ. ც. [illegible] ტფილისის [illegible] გუსტირ-სტუნიცკი.

— 1 აპრილს, კვირას, 11 საათზე განათლების მუშაკთა სახლის ბინაზე, —კოლუბანის ქუჩა № 3, —შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის კომუნისტ წევრთა საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა პარტიულ დისციპლინის წესით.

ფრაქციის მდივანი შავერდოვა.

— ოთხშაბათს 4 აპრილს საღამოს 7 საათზე პედოლოგიურ სექციაში—პროფ. უზნაძის მოხსენება თემაზე: ბავშვის გამოკვლევის მეთოდები.

მარქსისტულ წრების მეცადინეობის ნუსხა.

— 1. კვირას, 1 აპრილს დილის თერთმეტ საათზე ამიერ-კავკასიის სახ. ბიბლ. კომ-სიასთან არსებული მარქსისტული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— 2 ორშაბათს, 2 აპრილს საღამოს 6—8 საათამდე ქალთა განყოფილებასთან არსებული წრე (ქართულ ენაზე) ხელმძღვანელი ამხ. დუდუჩავა

— 3. ორშაბათს, 2 აპრილს საღამოს 9—11 საათამდე სახელმწიფო პოლიტექნიკუმთან არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. ლიბახი.

— 4 სამშაბათს, 3 აპრილს და შაბათს 7 აპრილს საღ. 5—7 საათამდე [illegible] სამმართველოსთან არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— 5. ოთხშაბათს, 4 აპრილს საღამოს 7—9 საათამდე „[illegible] აღზრდის სახლთან“ არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. პენიაკოვი.

— 6. ხუთშაბათს, 5 აპრილს საღამოს 6—8 საათამდე „განათლების მუშაკთა სახლთან“ არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. სუროვენკოვი.

— 7. მბეჭდავების წრეში მეცადინეობა ხელმძღვანელების გამგზავრების გამო არ შესდგება,

ს. კ. პ. ც. კ. სააგიტ. პროპ. გან.

პროფესიონალური

— ორშაბათს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა, კავშირთა ცენტრალური გამგეობების, ფაბრიკა-ქარხნებისა და ადგილკომების წევრების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) ურთიერთ დამხმარე კასების შესახებ.
2) ოქროს მომგებიანი სესხის შესახებ.
3) კულტურული მუშაობა.
4) დასასვენებელ სახლებისა და აგარაკების შესახებ.

განსახილველ საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო პლენუმის, კავშირთა ცენტრალურ გამგეობების, ფაბრიკა-ქარხნებისა და ადგილკომების ყველა წევრთათვის დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჯუგუშვილი.

„განათლების მუშაკთა სახლში“.

— ორშაბათს, 2 აპრილს საღამოს 7 საათზე ფიზიკა-მათემატიკურ ქვე სექციაში: 1 თამაზოვის მოხსენება შემდეგ თემაზე: პროგრამა შრომის სკოლების მათემატიკისათვის, 2) გ. გ. კონიძე ცნობა პედაგოგიური მუზეუმის შესახებ, 3) კლასის ექსპერიმენტის მეთოდის შესახებ ლექციების მოწყობის გარშემო საუბარი.

— სამშაბათს. 3 აპრილს საღამოს 7 საათზე ბავშვთა თვითმოქმედების ქვე-სექციაში [illegible] მოხსენება: „სკოლაში საკლუბო მეცადინეობის გატარების ცდა“.

— ოთხშაბათს, 4 აპრილს საღამოს 5 საათზე კურსის ლექცია: „საქართველოს შედარებითი ეთნოლოგია“.

— ოთხშაბათს, 4 აპრილს საღამოს 7 საათზე პედაგოგიურ-პედოლოგიური ქვე სექციის სხდომა, პროფესორ უზნაძის მოხსენება: „ბავშვის გამოკვლევის მეთოდები“.

სახლის გამგე შიუკაშვილი-კალოუბნაია.

განცხადებები

დედა ეფემია ქაიხოსროს ასული თურმანიძისა ჯაიანისა, რძალი სოფიო მიხეილის ასული თურმანიძისა (ტუხაშვილის ასული), შვილები ელიჩკა და მარუსია, რძლები საშა ნიკოს ასული, ციბა მალაქიას ასული, ბარბულა ზოსიმეს ასული, ძმები ილარიონ, გაბო, პეტრე თურმანიძეები, დები მარო გიორგის ასული ასათიანისა, ნინა გიორგის ასული ქვარაიასი, სიძები ალექსანდრე ასათიანი, [illegible] გაბუნია ვასილი ქვარაია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასის

მელიტონ გიორგის ძე თურმანიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს, 3 აპრილს. 5 საათზე დიდუბის ეკლესიაში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს [illegible] საათზე, გარდაცვლილის ბინაზე [illegible] ქუჩა 155.

(476 2—1)

მეუღლე გაიანე მიქელაძე, შვილები: ილარიონი, ვლადიმერი და სამსონი, ქალიშვილები: ნატაშა და ევდოკია, სიძე ვარლამი კობახიძე და რძლები მარგალიტა და თამარა მიქელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის ქმარის, მეორების მამისა და მესამეების მამამთილისა ძვირფასი

ვაცა მიქელაძესი.

პანაშვიდი ყოველ საღამოს. დასაფლავება ხუთშაბათს, 5 აპრილს, ქ. ზუგდიდში. (477 2—1)

რუსთაველის თეატრი
კრ. 288—2—2

სამშაბათს. 3 აპრილს,
მასკოტა
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო ოპერა
კრ. 287—1—1

დღეს, 1 აპრილს.
სილვა
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

მუსულმანთა ხალხის ტექნიკუმ-საბავშო-ბაღის აღმშენებელი კომიტეტი (ქალაქის ღმასკომი, ოთახი № 42) იწვევს მსურველ მოიჯარადრებს აღნიშნული სკოლის საჭიროებისათვის სოლოლაკის რუხული ქვის გადმოტანის იჯარით აღებისათვის. საჭიროა [illegible] კუბ [illegible] საჟენამდე.

კონდიციების ნახვა შეიძლება საამშენებლო განყოფილების კანცელარიაში.

საამშენებლო განყოფილება.

კრ. 289 2—1

კვირას, 1 აპრილს, 1923 წ.

ყველა აბანოები მუშაობენ

უმუშევარ ახალგაზრდობის სასარგებლოთ.

იყიდება კარგათ მორთული

სახლი

ბაღით

ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 8, ბინა 2.

401—10—8

ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოს განცხადება.

ყველა დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი წესები საბაჟოების მიერ შხამიან და ძლიერად მომქმედ საშუალებათა გაშვების შესახებ. (1922 წლის 14 თებერვლის საბაჟო ტარიფის 112-ე მუხლის შენიშვნა 6 ე).

შხამიანი და ძლიერად მომქმედი საშუალებანი, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მოდის, გაიშვება საბაჟოების მიერ შემდეგ საფუძვლებზე:

1. საზღვარ-გარეთიდან შხამიან და ძლიერად მომქმედ საშუალებათა მიღების უფლებით სარგებლობენ; ა) სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და კერძო ფაბრიკები. ქარხნები და ლაბორატორიები მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი საწარმოო მიზნებისათვის და ნედლი მასალის სახით სწორეთ იმ ქიმიურ და ქიმიურ-ფარმაცევტულ პრეპარატების დასამზადებლად, რომლის დამზადება ნებადართული აქვთ მათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ. ბ) სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და კერძო წარმოებანი, რომელნიც ეწევიან ბითუმად ვაჭრობას მედიკამენტებით არსებული წესების თანახმად. გ) უმაღლესი სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებები თავიანთ ლაბორატორიების საჭიროებისათვის.

2. საბაჟოების მიერ შხამიანი და ძლიერად მომქმედ საშუალებათა გატანის ნებართვა ადრესატებს ეძლევათ იმ მოწმობების თანახმად, რომელიც მიეცემათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ § 1 „ა“ მუხლში აღნიშნულ წარმოებებს, ჯანმრთელობის სახ. კომ-ტის მიერ—§ 1 „ბ“—მუხლში აღნიშნულ წარმოებებს და § 1 „გ“ მუხლში აღნიშნულ წარმოებებს თვით უმაღლეს სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებათა მიერ, რომელთაც ესაჭიროებათ შხამიანი და ძლიერად მომქმედი ნივთიერებანი.

შენიშვნა: გაცემული მოწმობები რჩებიან ძალაში ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს წარმოების მოქმედების დასრულებამდე.

3. საბაჟოდან საშუალებათა გაცემის დროს მიმღები ხელს აწერს მიღებაზე საშუალებათა სახელწოდების და რაოდენობის აღნიშვნით.

4. საბაჟო საშუალებათა გაცემის შემდეგ, წარდგენილ მოწმობების თანახმად დაუყოვნებლივ აცნობებს, წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით, საშუალებათა სახელწოდებას და რაოდენობას. როდესაც ადრესატი ეკუთვნის § 1 „ა“-ში აღნიშნულ კატეგორიას სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ეკონომიურ განყოფილებებს, როდესაც ადრესატი ეკუთვნის § 1 „ბ“-ში აღნიშნულ კატეგორიას—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ჯანმრთელობის განყოფილებებს, და როდესაც იგი ეკუთვნის § 1 „გ“-ში აღნიშნულ კატეგორიას—დაწესებულებებს, რომელთაც გასცეს მოწმობები და ყველა შემთხვევებში—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო განყოფილებას.

წესები ეს მოქმედებას იწყებს ადგილობრივ საბაჟო დაწესებულებათა მიერ მიღების დღიდან.

ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოს საქმეთა მმართველი—მელაკაძე

კრ. 284 3—2

ჯულფის საბაჟო
აცხადებს
რომ ა. წ. 2 აპრილს, დღის 12 საათზე
ჯულფის (ნახიჩევ. ოლქ) საბაჟოს შენობაში
დანიშნულია
ზეპირი ზეპირი
საჯარო ვაჭრობა
საიმპორტო და საექსპორტო საქონლებზე
საარტელო მუშაობის წარმოების უფლების ასაღებათ
ჯულფისა და შახტახტინის საბაჟოებთან.

ხელშეკრულების პირობების გასაცნობათ მსურველთ შეუძლიათ მიმართონ საბაჟოში ყოველდღე 9 საათიდან 3 საათამდე.

ჯულფის საბაჟო.

(კრ. 285 2—2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—24)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—პლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 საათ.— დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 28. (264—25—21)

ზუგდიდის უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს მცხოვრებ სოფ. შამგონის, ზუგდიდის მაზრის, ალექსანდრე ბაბალას ძე წულაიას ა. წ. აპრილის 24-ს დილის 9 საათისათვის დასაკითხავად ვითარცა მოპასუხეს, საჩივრისა გამო მეუღლე მისი მელანია წულაია, გუსარი ცობეხიას ასულისა მასთან განქორწინების თაობაზე.

475—1—1

აღმასკომის საამშენებლო განყოფილება

ამით აცხადებს მსურველთა საყურადღებოთ, რომ [illegible] რიყის ქვის და კუბიური ქვის ფილების შეკეთებას ქალაქის გარე და ცენტრალურ უბნებში, და აგრეთვე მიწის სამუშაოებს.

პაკეტები ნაჩვენები უნდა იყოს: ა) ფასი მხოლოდ (მარტო) სამუშაოს (ხელფასი) და ბ) ფასი თავისი მასალებით და მოტანით.

განცხადებები მიიღება მხოლოდ 10 აპრილამდე დღის 10 ს. ოთახი № 42.

კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველდღე მდივან კალანდაძესთან ოთახი 41.

290—2—1 საამშენებლო განყოფილება.

დაიკარგა ბირჟის წიგნაკი № 3714, (მოც. 13 მარტს 1923 წ.) ჩაითვალოს გაუქმებულად. ვ. ძნელაძე.
470—1—1

დაიკარგა ეკატერინე ძიბისაშვილის სახელზე გაცემული პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად.
469—1—1

დაიკარგა ტფილისის მე-2-ე გიმნაზიის მიერ კატაევის სახელზე გაცემული სიმწიფის მოწმობა № 943 ჩაითვალოს გაუქმებულად.
472—1—

დაიკარგა მარიამ ბერეჟნოვას სახელზე ყუბანის ოლქში გაცემული პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად.
471—1—

დაიკარგა საყოველთაო სამხედრო სწავლების განყოფილების მიერ გრიგოლი ტერ-მაკაროვის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა № 89 და [illegible] ტერ-მაკაროვას სახელზე ნოვოროსიისკში გაცემული პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად.
473—1—